


K 68.357  
3



მ ი ნ ე ი ლ

# ემინესკუ



8455-1  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მიხეილ ებინესკუ

# შექსები

K 68.357  
3.



სახელგამი  
თბილისი  
1956





ქართული  
ბიბლიოთეკა

ლევანოვ ლევან

თარგმანი გრიგოლ აბაშიძისა


იქცხე

კ.ე.პ.ა.ე.

მეცნიერებათა  
აკადემიის  
ბიბლიოთეკა



ეროვნული  
ბიბლიოთეკა



სკეპ-2000  
ფეოფანულია

ბაქსის სპ. სპ. სხელმწიფო  
სკეპ-2000  
ბიბლიოთეკა  
თბილისი



## მიხეილ ემინესკუ

მიხეილ ემინესკუ რუმინეთას დიდი ეროვნული პოეტია. მის შემოქმედებას მნიშვნელოვანი და საპატიო ადგილი უჭირავს რუმინელი ხალხის კულტურულ საგანძურში.

მ. ემინესკუ დაიბადა 1850 წელს, წვრილი მემამულის ოჯახში. სწავლობდა ჩერნოვიცის გიმნაზიაში. 1864 წელს გაზაფხულზე მან მიატოვა გიმნაზია და გააპყვა მოქალაქე თეატრალურ დასს. 1866 წელს დაიბეჭდა მისი პირველი ლექსები. 1869 წელს იგი ვენაშია, უნივერსიტეტში ლექციებს ისმენს, შემდეგ გადადის იენაში, იენიდან — ბერლინში, სადაც რუმინეთის საელჩოში მთარგმნელად მუშაობს. მასზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა პარიზის კომუნის დამარცხებამ.

1874 წელს მ. ემინესკუ დაბრუნდა სამშობლოში და შევიდა ლიტერატურულ საზოგადოება „ჟუნიმიაში“ („ახალგაზრდობა“), რომლის ჟურნალშიაც „კოვობირ ლიტერარე“ („ლიტერატურული საუბრები“) დაბეჭდა მრავალი ლექსი. ემინესკუ ვერ უთვისდებოდა ამ ლიტერატურულ საზოგადოებაში გამეფებულ რეაქციულ შეხედულებებს. საერთოდ, თავისი პროგრესული შეხედულებების გამო მან ბევრი დევნა და გაჭირვება გადაიტანა. იგი მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე ჟურნალ-გაზეთებსა და განათლების სამინისტროს დაწესებულებებში, რათა ცხოვრების სახსარი ეშოვნა. პროვინციებში ხანგრძლივად ყოფნის შემდეგ 1877 წელს მ. ემინესკუ ბუქარესტში ჩავიდა და გაზეთ „ტიმპულის“ („დროება“) რედაქტორად დაიწყო მუშაობა. კონსერვატული სულისკვეთების გაზეთის რედაქტორობა მძიმე ტანჯვას აყენებდა ემინესკუს — იგი მთლიანად გამომცემლებისგან იყო დამოკიდებული და არ შეეძლო საკუთარი შეხედულებებისა და მიხედვით მოქცეულიყო. გამუდმებულმა გაჭირვებამ, მოუსვენარმა ცხოვრებამ ფიზიკურად და სულიერად დააძაბუნა პოეტი — 1883 წელს იგი მძიმე ფსიქიური ავადმყოფობით დასნეულდა. დაავადებულ ემინესკუს დაეხმარა ხალხი — ხელმოწერით შეგროვებული თანხებით მკურნალობდა იგი სხვადასხვა საავადმყოფოებში. პოეტი გარდაიცვალა 1889 წლის 15 ივნისს.

მიხეილ ემინესკუ ჭეშმარიტი სახალხო პოეტია. თავის ლექსებსა და პოემებში იგი გადმოსცემდა უსამართლო სოციალური წყობილების უღელქვეშ მგმინავი რუმინელი ხალხის სულისკვეთებას. მ. ემინესკუ პოეტის

სოციალურ მოწოდებად თვლიდა ყოფილიყო ხალხის მსახური, რეალისტურად აესახა მისი ცხოვრება და აღეძრა იგი თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის საბრძოლველად. „მხატვრული ლიტერატურა უნდა იყვეს სინამდვილის ოქროს სარკე, რომელშიაც ხალხის მოძრაობა ირეკლება“ — წერდა იგი. მ. ემინესკუ ებრძოდა ბურჟუაზიული ესთეტიკოსების ყალბ თეორიას, რომელიც მოითხოვდა „ხელოვნებას ხელოვნებისათვის“, იგი სიმართლეს ემსახურებოდა და მართებულად აკავშირებდა რეალიზმს ხალხურობასთან. განსაკუთრებულად ეჯავრებოდა მას ბურჟუაზიული ყალბი პატრიოტები, რომლებიც გულგრილად შესცქეროდნენ რუმინელი ხალხის ტანჯვას. მძაფრი სოციალური სიმახვილე ახასიათებს მის ნაწარმოებებს — „ჩვენი ახალგაზრდობა“, „გარყვნილი ჭაბუკები“, „წერილი მესამე“, „ლანდები დროის ტილოზე“ და სხვ.

მართალია, ემინესკუს სოციალურ-ფილოსოფიურ შეხედულებებს ერთგვარი ჩამორჩენილობის დადი ამჩნევია: პოეტი უტოპიური სოციალიზმის ფარგლებს არ გასცილება, მის შემოქმედებაში დროდადრო გაისმის უიმედობისა და პესიმიზმის განწყობილებანი, მაგრამ ხალხისადმი ნგზნებარე სიყვარულის პათოსი, სიმართლე და უბრალოება დიდ შთამაგონებელ ძალას ანიჭებს მის სტრიქონებს, ესაა მისი პოეზიის უპირველესი ღირსება.

ემინესკუ ნატიფი ლირიკული პოეტია. მისი სასიმღერო ლექსები და ლეგენდები რუმინული ხალხური შემოქმედების სულითაა გაყვენთილი. ამიტომ, რომ რუმინელმა ხალხმა შეისისხლხორცა და შეიყვარა ემინესკუს მრავალი ნაწარმოები.

ემინესკუს ლექსების წინამდებარე კრებული რუმინული პოეზიის პირველი წიგნია ქართულ ენაზე. იმედი, ქართველი მკითხველი გულთბილად მიიღებს რუმინელი ხალხის საყვარელი პოეტის ნაწარმოებებს.



## უცხოეთიდან

როცა ლხინია ირგვლივ დამღლელი,  
და დროსტარება არის გაბმული,  
გულს მიკლავს ტკბილი, ჩუმი ნალველი,  
განუსაზღვრელი სევდა მამულის.

ჩემს ულამაზეს მშობელ კუთხეში  
შორიდან ვხედავ მთელ დიდ სამყაროს.  
მე უცხოეთში ვინ მცეს ნუგეში,  
სამშობლოს გარეთ ვინ გამახაროს.

ჩემო მამულო, ო, როგორ მინდა,  
კვლავ ვნახო შენი მწვანე მინდვრები,  
მდინარეები ბროლივით წმინდა  
და ტყეთა ბნელი ლაბირინთები.

მსურს მივესალმო შენს ქოხებს, ჩუმი  
ძილით რომ სძინავთ კაეშნიანებს,  
ჩურჩულს, სიწყნარეს, პოეტურ დღემილს,  
ფოთლებს, სიბნელეს რომ შეშრიალებს.

ნეტავ იქ მქონდეს პატარა სახლი,  
გაბრწყინებული მზის ელვარებით  
და დამყურებდეს ყოველდღე მალლით  
ნისლმოხვეული მთის მწვერვალები.



ნეტავ მაჩვენა მინდვრები ჩვენი,  
მათ ახსოვთ ჩემი რბენა ტრამალში,  
მათ ახსოვთ ჩემი ბავშვობის დღენი  
და უზრუნველი ჩემი თამაში.

მდინარის ოხვრა, ხმაური ხევთა,  
ტკბილი გალობა ცაში ფრთოსნების,  
ბავშვს მიწვევებდა სულში ტკბილ სევდას  
და მიმაფრენდა მაღლა ოცნებით.

ნეტავ იქ ვიყო, შევეკრავ კონებად  
მინდვრის ყვავილებს, დავირბენ ახოს,  
რომ დაქანცულმა ჩემმა გონებამ  
კვლავ ის ბავშვური სიზმრები ნახოს.

იქ თვით სიკვდილიც იქნება ტკბილი,  
არა სიცივე და დამიწება...  
მოვა, წამიღებს საამო ძილით  
ყრმობის ზმანება და დავიწყება.

*[Faint bleed-through text from the reverse side of the page]*





საქართველოს ეროვნული  
 ბიბლიოთეკა  
 ქ. თბილისი, ვ. აკიშვილის ქ. 125

## უკანასკნელი სურვილი

ერთადერთ სურვილს ვინახავ წმინდად  
 სიკვდილ-სიცოცხლის საზღვარზე მდგარი,—  
 მე ზღვის ნაპირზე სიკვდილი მინდა,  
 როცა საღამო დადგება წყნარი.

ზღვასთან მსურს მუდმივ ძილს თავი მივცე,  
 ტყე შრიალებდეს ახლო ღამ-ღამე,  
 და ცას ეკვროდეს ზღვის წყნარი სივრცე,  
 ცასავით ლურჯი და მოკამკამე.

არ მინდა კუბო ძვირფასი ანდა  
 დროშები, დიდ ხალხს არ ვეტოლები  
 უბრალოდ შეჰკრან საკაცე სადა—  
 სურნელოვანი მწვანე ტოტებით.

ნუ დამიტირებს საფლავზე ნურვინ,  
 უჭირისუფლოს და უსახლკაროს,  
 დე, შემოდგომამ ცრემლით და მდურვით  
 ხმელი ფოთლები გადმომამყაროს.

დე, ნაკადული მოთქვამდეს მწარედ  
 შხეფებით, შუქზე მოციმციმეთი,  
 და ფიჭვის წვერზე ასულმა მთვარემ  
 მეც მომაწვდინოს შუქი მცირელი.



დე, ფარა ძოვდეს ბალახს და ბოტებს  
უქლარუნებდეს ყელზე ეყვანი,  
ცაცხვი მალლიდან მიქწევდეს ტოტებს,  
სავსე წუხილით და კაეშანით.

ალარ მკადრებენ ქვეყანამოვლილს,  
წამებულს — მკვდარსაც დამწამონ ცილი,  
და ჩემს სახელსაც, ვით ბილიკს თოვლი  
მოგონებები დაფარავს ტკბილი.

როცა ვარსკვლავნი ღამის სიშავეს  
გასტეხენ, განა შორს ვეგონები,  
ციდან ღიმილით თვალს ჩამიკრავენ,  
ვით ჩემი ყრმობის ტოლ-მეგობრები.

ზღვა დაიკვნესებს და მის მკაცრ ხმაში  
ტალლა დატყდება ყალყზე შემდგარი..  
ვაგლახ, მე მარტო ვიქნები მაშინ,  
მიწად მდებარე ცივი ცხედარი.

## რამღენი ანძა...

ქარში დატყდება ანძა რამღენი,  
ზღვაზე რომ ჩქარობს გრძელი გზის გავლას,  
ბევრი ფრინველი, შორს გადამფრენი,  
ზღვასა და გრიგალს დარჩება დავლად.

მაღალ მიზნისკენ ბევრი იჩქარის,  
მღელვარე ზღვაში ქარი ბევრს დანთქავს,  
და შორს წაიღებს ისევ ის ქარი  
ლამაზ სიმღერას, გრიგალში ნათქვამს.

## მუსიკოსის სიმღერა

მარტო დავდივარ გაუგებარი,  
გაუგებარი, როგორც ზღაპარი,  
ამბოხებული, დაუდეგარა  
და ცოდვილივით მიუსაფარი.

მუზა ვარ კლდეზე ფრთებმომსხვრეული,  
უდაბნოს ხმა ვარ ღონემიხდილი,  
ცოცხალთა შორის ჩემი სხეული  
მარტოკა დადის, როგორც სიკვდილი.

მე მირონს ვსუნთქავ, დაღლილი მკერდი,  
ალბათ ამიტომ იწვის სახმილით,  
ასე წვალეებით წყალსა სევამს გედი,  
ყინვით გასარკულ ტბაზე დახრილი.

ცხოვრების აზრის, სიცოცხლის ფასის  
განმმარტებელი, მითხარ, სად არი?  
ოდესღაც ვიყავ არწივის მსგავსი,  
ახლა ჯვარი ვარ ცივი სამარის.

თუ ხალხი ჩემს ხმას არ გაიგონებს,  
სიცოცხლეს შეტი რა აქვს მიზანი,  
ცაზე ვარსკვლავთა ნათელ სტრიქონებს  
რალად ვკითხულობ, როგორც მისანი.





## ბინდი და კომეტი

ბ ი ნ დ ი:

მარტო დადიხარ დევნილი და მიუსაფარი,  
ნათელი აზრი სულს გინათებს, როგორც ლამპარი.  
მოგდევს დაცინვა, გყინავს სუსხი, გატირებს დარდი  
და მაინც მღერი, როგორც მკვდრეთით აღმდგარი ლანდი.  
გულქვაა ხალხი, რალად უმღერ, იგი ყრუ არი,  
დალეწე ქნარი, სამსახურზე უთხარ უარი.  
შენ მაინც, თითქო ტალღა იყო და კლდეს კოცნიდე,  
ფეხთ ჩაეარდნიხარ, კვლავ ხალხს უმღერ, არ გსურს მოცილდე.  
კლდე სულ იქნება, ტალღა წავა, კარგად გახსოვდეს,  
წავა და აღარ დაბრუნდება აღარასოდეს.

კ ო მ ე ტ ი:

იქნებ გგონია, ჩემს არჩევანს არ ჰქონდა აზრი,  
როცა ცხოვრება ავირჩიე ძნელი და მკაცრი.  
მე ხომ ვარსკვლავად მხოლოდ მიტომ დავეშვი ღრუბლით,  
რომ გავაბრწყინო ჩემი ერის მაღალი შუბლი.  
მინდა ცხოვრებას ვუმღეროდე არა შორიდან,  
სიტყვა და ჰანგი ავამღერო, როგორც ორი და.  
მინდა ავავსო მათი თასი შუქით და ჩრდილით,  
რომ მწარე ნაღველს შეერიოს შარბათი ტკბილი.  
მსურს ჩემმა სიტყვამ, დროის ნიღლით შემოგასრული,  
კვლავ გააცოცხლოს ვაჟკაცური ჩვენი წარსული.  
მინდა ჰანგები რუმინული გმირულად ვჰქეპო,



მთებში დაირხეს, ზეცას მისწვდეს სიმღერის ექო.  
მინდა იმ ჰანგში გუგუნებდეს მქლე ქარიშხალი,  
მღეროდეს ველი, ჟღურტულებდეს წყარო ცინცხალი.  
მსურს, სამღერად ვთქვა ჩუმი ოხვრა მთათა და ხევთა,  
გულის ტკივილი, სულის მწუხრი, მიმქრალი სევდა.  
მინდა ვუმღერო ფესვებგადგმულ მუხას, რტომრავალს,  
რუმინელების დიდ წარსულს და დიად მომავალს.  
შენ გინდა, ვიყო ჩემს მამულში უბრალო მოწმე,  
მხარში არ ვედგე, არ ვუმღერო რუმინელ მოძმეს?  
არა! თითქო ზვირთს ზვირთი სდევდეს, რაღაც განგებით,  
ფიქრი ფიქრს მოსდევს და ყველა ფიქრს ახლავს ჰანგები.  
და თუმცა ვიცი—ნამდვილ ფერებს ვერ ვპოვებ ვერსად,  
მინდა სამშობლოს სილამაზე დავხატო ლექსად.



დ ე ლ ა...

დღდავ! საფლავში სამუდამოდ თვალმიხუჭული  
მიხმობ ფოთლების საიდუმლო, წყნარი ჩურჩულით.  
შენს ბნელ საფლავზე უხმოდ ცვივა და წყნარად წვება  
გაყვითლებული აკაციის ფოთლების წყება.  
მე მათ შრიალში კვლავ შენი ხმა მომესმის ტკბილი,  
მათ ჩუმ ჩურჩულში გერგო წილად მარადი ძილი.

მე რომ მოვკვდები, როს წამიღებს ძილი ნეტარი,  
არ დაიტურო, სატრფოვ, ჩემი ცივი ცხედარი.  
ჩემს სამარეზე ცაცხვის ნერგი დარგე პატარა  
და დააფრქვიე ცხარე ცრემლის წყარო ანკარა.  
ცაცხვის ფოთლები იშრიალებს ჩურჩულით ნელა,  
მე არ ვიქნები, ირგვლივ ისევ იცოცხლებს ყველა.

მაგრამ თუ ერთად მოგვეწევა ბედი მღევარი,  
მინდა შენს გვერდით, ერთ კუბოში ვიყო მღებარი.  
ერთად დაგემარხონ ზღვის ნაპირას, ტყუბების დარად,  
იქ, სადაც ზვირთნი შრიალეებენ ლამეში წყნარად.  
ასე, საფლავშიც განუყრელად ვიქნებით წყვილი,  
ტალღებს სულ მოთქმა, ჩვენ—მარადი გვექნება ძილი.





## ლანდები ღროის ტილოზე

ბნელ ტავერნაში, სადაც შუქი ძლივს ატანს მკრთალი,  
ხის გრძელ სკამებზე სუფრებს უსხდნენ მაწანწალები,  
მათი ყაყანით ირყეოდა ღუქანი მყრალი,  
რისხვას აფრქვევდა მათი მზერა კუმტი და მწყრალი  
და სახეები დაქანცული და ნაწვალები.

ერთმა თქვა: არა, როდი არის კაცი ლამბარო  
ამ შევბნელ ქვეყნის, სადაც სწუხს და სცოდავს ყოველი,  
მასში ნამდვილი ბრწყინვალეების კვალიც არ არი,  
იმ მიწის მსგავსად ბინძური და შესაზარი,  
რომლისაც თვითონ განუყოფლად არის მკვლობელი.

აბა სად არის სამართალი? მხოლოდ მდიდრების  
ქონებას იცავს კანონების მტკიცე კედელი,  
სასახლეებიც მათ ეკუთვნით, ბაღიც, მინდვრებიც,  
ხოლო ათასებს—გამომჩქედელთ მათი დიდების,  
მარტო ტანჯვა და შრომა რჩებათ განუწყვეტელი.

სინდისი არ აქვთ, თუმცა სინდისს ყველა მათგანი  
ჩვენ გვიქადაგებს, ბოროტების სიტყვით მძრახველი,  
რადგან სურთ ვზიდოთ უღრტენველად მათი კაპანი,  
ჯაფაში ზანტი რომ არ ვიყოთ, ომში ჯაბანი  
და თავგანწირვით ვასახელოთ მათი სახელი.

მათი არმადა, უძლეველი მათი ლაშქარი,  
მეთის გვირგვინი სხივოსანი და დიდებული,



თვალმარგალიტი და სიმდიდრე სხვადასხვაგვარი,  
არის ყოველი მილიონთა ნაამაგარი,  
მათი სისხლით და მათი ოფლით გაბრწყინებული.

თვით ღმერთიც არის ბატონების გამოგონება,  
იმედით უნდა მუშაობდე მკლავმოუღლეელი.  
იმ ქვეყნად მიტომ აღგვითქვამენ ბედს და ქონებას,  
რომ აქ, ამ ქვეყნად გვიყოლიონ ერთგულ მონებად,  
და ხარებივით გვაწვევინონ მძიმე უღელი.

ჩვენი თვალები დააბნელა ცრურწმენის ფარდამ,  
თითქოს გველოდეს ნეტარება არამცირელი,  
არა! არ გველის ჩვენ სხვა ჯილდო სიკვდილის გარდა,  
რადგან თავდება მომავალი სამარის კართან  
და სიცოცხლესთან ერთად ჰქრება ყველა იმედი.

მათი მტკიცება ზღაპარია, სიცრუე მტკნარი,  
ცხოვრების ამ წესს კარნახობდეს თითქო ბუნება,  
და რომ დაიცვან საკუთარი სახლი და კარი,  
მათ ისევ თქვენგან, მონებისგან შეკრიბეს ჯარი  
და დაავალეს ერთმანეთის განადგურება.

რადგან იმ ქვეყნად არ მოგველის ტანჯულებს შველა  
აქ მაინც ვიყოთ გონიერად და აზრიანად,  
შევსვათ ამ ქვეყნის სიტკბოების სასმისი ნელა,  
და რაკი, ძმებო, ეს ქვეყანა გვეკუთვნის ყველას,  
დე სწორად გვქონდეს გაყოფილი, თანაზიარად.

ნურვინ იქნება სხვაზე მეტი ქონების მდომი,  
ქვეყნის სიმდიდრემ ყველასათვის უნდა იკმაროს,  
ალარ იქნება ერთმანეთის ჩაგვრა და ომი  
და რაც ზედმეტი დაგროვდება საერთო შრომით,  
იგი მომავალს შევუნახოთ, მან მოიხმაროს.

კმარა, რაც ოქროს მიუწვდომელ კერპად სახავდით  
უნდა გათავდეს ძალღურ ბედთან თქვენი ქიდილი,



თქვენი ხვედრია—სიღარიბე, ცრემლი, სახადი, ბატონთა ხვედრი—ლხინი, სუფრა, ღვინის ნაკადი, დროს ტარებაში მდიდრებს დროც არ რჩებათ სიკვდილის.

ქვეყნის მპყრობელნი, თუ ინდომებთ, თვითონ გახდებით, თქვენ მრავალნი ხართ, ბატონები—თქვენზე ცოტანი, ნუ იცავთ მკერდით, დე დაიმსხვრეს მათი ტახტები, ნულარ აშენებთ საპყრობილეს; რატომ არ ხედებით, რომ იგი ისევ თქვენთვის არის ტანჯვის მომტანი.

კანონი იცავს უზრუნველებს, რა ეხარჯებათ, რა ჰქნას ჩაგრულმა, თუნდ გაჰქელონ, ვერსად იჩივლებს; რაც სიკეთეა—მდიდრის არი, ყველა მათ რჩებათ, მათ თქვენს ქალთაგან უტურთესნი მიჰყავთ ხარკებად და ბერიკაცნი უღვთოდ ხრწნიან თქვენს ქალიშვილებს.

რად დგახართ მშვიდად, თქვენს წამებას რად უცქერთ სახტად, ბავშვები თქვენი ლუქას რატომ უნდა ნატრობდნენ, თქვენივე ქედი რად დაუდგით ბატონებს ტახტად, რად ურიგდებით სიმშობის, ცრემლს და ნამუსის ახდას, მიწა და ზეცა რად ეკუთვნით მდიდრებს მარტოდენ?


კანონი მათთვის არ არსებობს, წესი დამშლელი, ბოროტებაშიც მუდამ რჩებათ სახელი მართლის, მხოლოდ თქვენთვის აქვთ კანონებიც, მკაცრი სასჯელიც და თუ მათ დოვლათს მისწვდა თქვენი ხელი გამრჯელი, მტკიცე კანონი თქვენს სისაწყლეს საბუთად არ თვლის.

მაშ მოსპეთ წესი ქვეყნის მართვის უკუღმართული, მდიდარს რომ ღარიბა აქელვირებს ფეხქვეშ ცბიერად; რაკი სამოთხე არ არსებობს ღვთისგან აღთქმული, დე ცხოვრებაში იყოს ყველა წელგამართული, ვიცხოვროთ ძმურად, თანასწორად და ზედნიერად!

დე მიწამ მოგვცეს ნაყოფი და სიმდიდრე უხვად, იყოს მშვიდობა, საქმით გვიცნონ კაცობის ღირსად,

2. მიხეილ ემინესკუ

R68357



ლიმილის ვარდი აცდეს მწარე ცრემლების სუსხვას, <sup>ქარქანული</sup>  
სატრფო მას შეხედეს, ვისაც იგი ნამდვილად უყვარს, <sup>346 წიგნი</sup>  
და არა უცხოს, ვისაც ფულით სავსე აქვს ქისა.

მაშინ დადგება ოქროს ხანა ქვეყნად ნამდვილი,  
ყველას თვალს და გულს გაახარებს სიტკბოც, მშვენებაც,  
აღბათ იქნება ცხოვრებიდან წასვლაც ადვილი,  
სიცოცხლის შუქის გასაქრობად ხელებაწვდილი,  
თვითონ სიკვდილიც ანგელოსად მოგვეჩვენება.

მოკვდებით მშვიდად, არ გაგყვებათ ზრუნვა არავის,  
თქვენი ბავშვებიც იცხოვრებენ ტკბილად თქვენსავით;  
სამრეკლოს ზარი არ გიგლოვებთ ხმით შემზარავით;  
რადგან სიცოცხლე გქონდათ ტკბილი. დაუზრახავი,  
ალარ გიტირებთ ახლობელი და ნათესავი.

სიღარიბისგან გაჩენილი გაჰქრება სენი,  
ვეღარ გაბედავს სიცოცხლესთან გაპაექრებას;  
მხოლოდ ჯანსაღი გამრავლდება ნაყოფი თქვენი,  
და მხოლოდ მაშინ მოკვდებიან ადამის ძენი,  
როცა სიცოცხლეს აზრი უკვე ალარ ექნება.

მაშინ მოხედავთ სინანულით განვლილ გზა-შარას,—  
რამდენი იყო დაგროვილი თურმე ერესი,  
კაცობრიობა ტყუედებოდა თურმე აშკარად,  
როცა ბუნების წესთან ბრძოლით ბევოჯერ გამცდარა,  
რადგან ბუნება მუდამ იყო უძლიერესი.

ხალხი იყოფა ორ ბანაკად: ეშმაკ თაღლითთა  
და მათგან ჩაგრულ გულუბრყვილო პატიოსნებად,  
ეშმაკი ალალს ცხვარივით ჰკრეჭს, სარჩოს აღლიტავს,  
არწმუნებს თან, რომ ბოროტს ღმერთი დასჯის მაღლიდან  
და სამოთხეში აუხდება ღარიბს ოცნება.

დაბრუნდით უკან, დაუბრუნდით ისევ ბუნებას,  
თუ გინდათ ქვეყნის გარდაქმნა და აღორძინება,



ბოლო მოუღეთ მდიდრების ღვინა და ფუფუნებასა და ჩამოეხსენით თქვენს ძველ რწმენას, ბავშვურ ცხოვრებას, თორემ უღელი თქვენს წახრილ ქედს არ მოცილდება.

ჰეი მდიდრებო, თქვენგანა ვართ გზადდაკრულები, დაგვაგდებინეთ პირვანდელი ჩვენი სახლკარი, თქვენი სიმკაცრით, თქვენი ბრძნული განკარგულებით, დავდივართ, როგორც მათხოვრები, დაკარგულები, და თვალს გვიბნელებს სამარცხვინო ყოფა ამგვარი.

რაკი ასეა, ვადღეგრძელოთ კვლავ კეისარი, იგი ჩვენგან ჰყოფს ბნელ ჯაშუშება, ბინძურ ჯალათებს; ჩვენ რომ დემონის იარაღად გვაქცევს, ის არი, სიღარიბეში გული მაინც გვქონდეს მდიდარი, ბედით განწირულთ, გული მაინც არ გვიღალატებს.

.....

სენის ნაპირას სწრაჲად მოჰქრის ეტლი მდიდრული, და კეისარი ბრწყინავს ეტლში მეფურ დიდებით, ცხენთა ფეხის ხმას, სენის ტალღის დგაფუნს დიდგული, თითქოს არც უსმენს შუბლშეკრული და გარინდული, ხალხი გზას უთმობს მოწონებით და მორიდებით.

მისი ღიმილი ბრძნული არი, შეუცნობელი, თვალი მზირალი გამჭრიახად და გამძაფრებით, და ღინჯად. ხელით სახელმწიფოს საჭის მპყრობელით ღარიბ-ღატაკებს ესალმება, როგორც მშობელი,— მას საიდუმლო აკავშირებს მათთან ძაფები.

მას, თუმც მალლა და მარტო არი, თქვენსავით სჯერა, რომ ეს ქვეყანა ბნელი არის, როგორც ქვესკნელი, რომ იგი იქცა სიცრუის და ბოროტის კერად, რომ კაცთა მოღვმის ისტორია ძველთაგან, ჯერაც არის ჩაქუჩის გრდემლზე ცემა განუწყვეტელი.



იგი, მზავრელთა მეთაური, ცდილობს დამტკბარი  
სალამით ხოვავ ჩავრულების წახალისოს;  
მან კარგად იცის, რომ ეს თქვენ ხართ, ძალა მთავარი,  
რომელსაც ძალუძს აღშფოთებით შესივას მთა-ბარი  
და კვისარიც ძირს დაამხოს სამარადისოდ.

იგი იყენებს თქვენს ურწმუნო, ფერმკრთალ აჩრდილებს,  
კეთილს და ბოროტს არ ცნობს თქვენი ძალა უხეში,  
თქვენ ცრეკლს დასცინით და ბნელ საქმეს თვალს არ აცილებთ,  
თქვენი სიმკაცრე ბატონობას მას უადვილებს  
და გაბმული ჰყავს თავის მტრები სასტიკ უღელში.

ხელმწიფე ხედავს თქვენს ძალაში თავის დიდებას,  
ამიტომ ცდილობს თქვენი გულის დასაკუთრებას;  
და ვიდრე მტრების დასათრგუნად ჯარი სჭირდება,  
იგი თქვენ მუდამ სიმდიდრეს და ოქროს გპირდებათ,  
რომ თქვენი ძალით განიმტკიცოს ძალაუფლება.

.....  
იწვის პარიზი, ცას აბნელებს შავი ხანძარი,  
ცეცხლის მღელვარე ოკეანეს გააქვს გუგუნი,  
ისაის ნგრევაში ჩახაჩუხი ხმლის შესახარი,  
ქარი ჰქრის. ცეცხლი კოშკებს აწვენს დაბლა ზანზარით.  
და ჰგავს პარიზი შავ სამარეს ამ საუკუნის.

ფერფლის ღრუბლებში ვარსკვლავთ კრებულს გააქვს კაშკაში,  
წითლდება ზეცა და ცეცხლის ზღვის თავზე მძიმდება,  
ხანძრის სვეტები მაღლდებიან ბოლის ალყაში,  
ალის ლახვრები გატყოცნილან კვამლის ქარქაშით  
და ნაპერწკლები გაბნეულან ცაზე მსივებად.

ჩანან ქუჩებში ბარიკადად წაქცეულები  
ავეჯა, სახლის ნანგრევები, ღორღი ნაყარი.  
მოაბიჯებენ პროლეტართა რაზმეულები,  
მოაქვთ შიშველი მახვილები, აწეულები,  
და ხმა გაისიის განწირული, ბრძოლის ნაღარის.



მოდინ თეთრნი, მდუმარენი, როგორც მარმარი,  
ხელში მახვილით მიაბიჯებს რაზმი ქალების,  
ბროლის მკერდებზე, როგორც ტალღა ყალყზე დამდგარი,  
თმა ჩამოშლიათ შავი, სქელი კვამლის მაგვარი,  
და მრისხანების ცეცხლს აფრქვევენ მათი თვალები.

ეკვეთე მედგრად, მტერს შიგ გულში სტყორცნე ისარი,  
დღეს შენ გმირი ხარ, ლატაკების გმირი თაობა;  
წითელი დროშა წინ მიგიძღვის, როგორც ცისკარი  
და მოლაღატე შენ კი არ ხარ, მხოლოდ ის არი,  
ვინც მხარს არ აძლევს დღეს შენს გამბედაობას.

ვერსალი უტევს, თითქოს გრიგალს გადაუვლია,  
ბარიკადები დაცემულან... კაცის მკვლელები  
ბარბაროსული ჟინით ჟღებენ ყველას სრულიად,  
თითქოს ჰაერიც მამიმე-შხაძით მოწამლულია...  
ძლიეს კომუნა... იმარჯვებენ ვერსალელები...

## წერილი მესამე

ერთხელ დიდი სულთანი მომთაბარე ტომების,  
მოყვარული ლხინის და სისხლისმღვრელი ომების,  
იწვა მწვანე ბალახზე გაშობილი გლეხურად,  
ხელი ედო ბალიშად, ზედ ხის ჩრდილი ეხურა.  
ძინავს, ხედავს სულთანი ზმანებაში წასული:  
ციდან მთვარე ეშვება — უტურფესი ასული.  
მოდის, მოეფინება ნაზი, შუქის მთოველი,  
გაზაფხულის ღიმილით ირგვლივ ბრწყინავს ყოველი.  
აღტაცებულთ მშვეკნებით ტყეებს გააქვთ ჩურჩული,  
წყალი ჭავლებს იფარებს, უცქერს თვალმოხუჭული.  
ცვივა მტვერი აღმასის, როგორც წვიმის წვეთები,  
ცამდის, თვალისმომჭრელად დგანან შუქის სვეტები.  
ისმის შორი სიმღერის მიმზიდველი ჰანგები,  
ჰქრიან ცისარტყელები, როგორც ფარშევანგები.  
სულთნის გვერდით ასული დაჯდა ულამაზესი,  
მიესალმა კრძალვით და წყნარად უთხრა ალერსით:  
— მომეხვიე ძვირფასო, არ დამტოვო არასდროს,  
ჩემი სევდის ყინული შენმა ცეცხლმა დააღწოს.  
დააწერა თვით ბედმა ჩვენი ზეცის კაბადონს —  
მე ბატონად გიხმობდე, შენ მეძახდე ქალბატონს.  
სულთანს უნდა მოხვევა, მაგრამ ქრება ასული,  
ხედავს სიზმარს სულ სხვაგვარს, ისევ ძილში წასული:  
მბრძანებელის გულიდან შრიალით და ზანზარით  
მძლავრი მუხა ამოდის, დიდი, უზარმაზარი.  
მუხის ფართო ტოტები ზღვას და ხმელეთს ფარავდა,





მისი ჩრდილი ვეება გაწვა მთად და ბარადა.  
 შორს გაპყურებს, მარადი თოვლი მთებზე ელვარებს,  
 თოვლი ჰფარავს ბალკანებს და კავკასის მწვერვალებს.  
 ხედავს: ტიგრზეც, ევფრატზეც მისი ჩრდილის ბინდია,  
 დუნაი და ნილოსი მის ტოტებქვეშ მიდიან.  
 უღაბური აფრიკა, ევროპა და აზია,  
 ყველა მის ქვეშ გართხმულა, მის ჩრდილს მოუხაზია  
 დიდი ნავსადგურებიც. გემთა თავშესაფარი,  
 მინდვრად პურის ყანების გაწეწილი ფაფარიც.  
 მის ჩრდილქვეშ წევს სამყარო — რაღაც ერთი მტკაველი,  
 უნაპირო ხალიჩად დაქარგული მთა-ველი.  
 უთვალავი ხალხების ესმის კვნესა-გოდება,  
 ყველა მისი გვირგვინის ფართო ჩრდილქვეშ გროვდება.  
 თითქო მის ქვეშ ცხოვრება ყველას ბედად ეწეროს,  
 თვით არწივიც ვერ სწვდება მუხის მაღალ კენწეროს.  
 მაგრამ უცებ იქექებს გამარჯვების ძახილი,  
 შრიალს იწყებს ერთბაშად მუხა ტოტებდაჩრილი.  
 და „ალაჰის“ ძახილი უძღვის ახალ იერიშს,  
 და მატულობს გუჯუნი, ვით ზღვის ტალღა ძლიერი.  
 ზანზარს იწყებს ვეება მუხა შენაშფოთები  
 და ახალ რომს ჩარდახად ეხურება ფოთლებით.

ძილში შეკრთა სულთანი, გაიღვიძა უცებ და  
 ირგვლივ თვალი მოავლო, გული სწრაფად უცემდა.  
 ხედავს, წყნარად მისცურავს, ხის ტოტებში მკრთომარე,  
 და ესკიშერს ანათებს შუქით სავსე მთოვარე.  
 მოჩანს სახლი შეიხის, მთვარე ამ სახლს გარს უვლის,  
 სარკმელთან დგას შეიხის უტურფესი ასული.  
 რა ქალი ჰყავს, რა ქალი მოხუც შეიხს ედებალს,  
 ვაჟებს მისი სურვილით გულზე ცეცხლი ედებათ.  
 თვალი მისი ტბა არი, წელი — ტოტი ჩინაოის,  
 მალხათუნი შორიდან უცქერს სახემცინარი.  
 უცქერს გასაოცარი, არ ნახული მმკენება,  
 ჩაუკვირდა სულთანი სიზმრად ნახულ ჩვენებას.  
 და მიხვდა, რომ ნახული უცნაური ზმანება,  
 იყო თვითონ მაჰმადის ნების გამოცხადება.

რომ თვით შექქმნის სულთანი საბრძანებელს უდიდესს, რომლის კიდევ, იენება, მთელ ხმელეთსაც უვლიდეს.

მართლაც ახდა: უღელში ბევრი ხალხის გამბმელი. წლითიწლობით იზრდება იმპერია შავბნელი. მწვანე დროშა სულ ძალა მიდიოდა ზვიადად, სულთანს სცვლიდა სულთანი, რბევას — ნგრევა ნიადაგ. ქედს უხრიდნენ ძლეულნი ტირილით და გლოვითა, ბოლოს ბაიაზეთი დუნაისთან მოვიდა.

გემები და ნაგები გადააბეს ხიდებად და წყალგაღმა გაჟიდა საისლამოს დიდება. დაჰკრეს იანიჩრებმა ამაზრზენი ნალარა და როვინის დაბლობი შავმა ურდომ დაჰფარა. მოჰფენიან მიდამოს, კარავს ეკვრის კარავი... შორით მოჩანს მუხის ტყე ბნელი და შემზარავი.

მოციქული მოვიდა, რუმინელი ჭაღარა, მიესალმა სულთანს და თავი დაბლა დახარა.  
— რისთვის მოხველ? უხეშად ეტყვის ბაიაზეთი.  
— მშვიდობა და ზავი გესურს, თან თხოვნა გვაქვს ასეთი: თქვენი ნახვის მსურველი, წამოსული შორიდან, მირჩა—ჩვენი მთავარი თავის ფეხით მოვიდა. მოვიდესო, სულთანმა უბრძანა და კარავის კართან მოდგა მოხუცი, თან არ ახლდა არავინ. ტანთ არ ეცვა ძვირფასად, არ ბრწყინავდა ჯავარით,  
— შენ ხარ მირჩა?

— გახლავარ!—მიესალმა მთავარი.

— ალბათ, მოხველ მისთვის, რომ თაყვანი მცე მორჩილად, თუ ეს არ გესურს, გვირგვინი შეგეცვლება ბორკილად.  
— ვიდრე ომი არა გვაქვს და სტუმარი ხარ ჩემი, გიმასპინძლებ გულლიად, კმაყოფილი დარჩები. მაგრამ თუ გესურს თვით გეყმო, ქედს დავიდგა უღელი, უკაცრავად ხელმწიფევე, ჩემგან ამას ნუ ელი. რომელიც გესურს ირჩიე, ჩვენი ბედი ეგ არი:



ომსაც, ზავსაც მივიღებთ სიმამაცით ერთგვარით! ეროვნული  
მეცნიერება  
 — როგორ ბედავ ურჩობას? ეს რა მესმის უფალმა  
 იქნებ ფიქრობ—დიდ გზაზე ჯირკი დამცემს უბრალო.  
 შენ არც დაგესიზმრება ის ზღუდე და ის ძალა,  
 მე რომ წინ აღჰდგომია და გეზიც ვერ მიცვალა.  
 დასავლეთის მეფენი, ბარონები ცნობილნი,  
 უსასტაკეს ბრძოლათა ცეცხლში გამოწრობილნი,  
 მწყობრი მალტელ რაინდთა, კედელივით ურყევი,  
 წამოსული ლაშქარი პაპის ლოცვა-კურთხევით.  
 რისხვით სამტროდ დაძრული დასავლეთის ლაშქარი,  
 ვით გრიგალი გრიგალის შესახლელად ამდგარი,  
 თითქო ტყე მოდიოდა, უდაბური, სულ ბნელი,  
 მოდიოდა ხალხები, როგორც შავი ღრუბელი.  
 ჯვართა და მახვილით მოდიოდნენ ჯარები,  
 აბნელებდნენ ჰორიზონტს მათი ფართო ფარები,  
 მოდიოდა დროშის ტყე, შუბების ტყე ტიალი,  
 ხომალდების ხეთქებით ზღვას გაჰქონდა გრიალი.  
 ნიკოპოლთან გამაგრდნენ, როგორც რკინის კედელი,  
 მაგრამ როდი შევშინდი მათი ძალის მჭკრეტელი.  
 როს ვიხილე ურიცხვი, ვით სათიბში ბალახი,  
 წვერში ხელი ვიტაცე, დავიფიცე ალაპი,  
 რომ მათ წყობას გავაპობ, როგორც ქარი თავნება  
 და დიდ ტაძარს რომისას გადავაქცევ თავლებად.  
 შენ კი ფიქრობ, ბებერო, დაყრდნობილი ყავარჯენს,  
 რომ მაგ ჯოხით შემაკრთობ ლომთა მძღველს მრავალჯერ!  
 — მე მეფე ვარ რუმინთა, და თუმცა ვარ ბებერი,  
 შენგან სიტყვაც, მოპყრობაც სხვანაირი შემფერის.  
 ჩვენს გაცნობას ერიდე, სულთანს ხარ მაღალი,  
 არ წაიღოს დუნაიმ შენი ლაშქრის ფარ-ხმალი.  
 აღრეც გადმოულახავთ ეს დუნაი ცისფერი,  
 თვით უძღვეულ დარიოსს ჩვენ მოვსტეხეთ კისერი,  
 ბევრჯერ გადასასვლელი გაუჭიმავეთ ხიდივით,  
 მაგრამ შემდეგ მძლავრ ტალღებს გაჰყოლიან ტიეტით.  
 მოდიოდა სიავის და მხეცობის ჩამდენი,  
 ჩვენი მიწის, ჩვენი წყლის დასაპყრობლად რამდენი.



მოდით დავიწყებთ და ტყეების მკაფივად,  
 მაგრამ ჩვენივ მიწა და წყალი ექცათ საფლავად.  
 შენ ამაყობ იმით, რომ სადაც ხმალი დაჰკარო,  
 ვერსად წინ ვერ აღვიდგა დასავლეთის ლაშქარი.  
 შენი ურდო მათ მწყობრში გრივალევით დაჰქროდა,  
 მაგრამ მითხარ, მათ ჯარებს საბრძოლველი რა ჰქონდათ?  
 განა გადასახდელი სჭირდათ ჯავრი უცხოთა?  
 ომში მხოლოდ შური და ანგარება უძლოდათ.  
 მე კი ვიცავ სამშობლოს, ჩემი ხალხის ღირსებას,  
 მტერს რომ გხედავ მამულში, გული ჯავრით ივსება.  
 ხალხი რისხვით აღსდგება, ჩემი თანამდგომელი,  
 ჩემთან ერთად იქნება ტყეც, მდინარეც ყოველი.  
 ბუჩქიც, ლოდიც მცირედი, რუმინეთის მთა-ბარის,  
 შენი მტერი იქნება, ჩემი თავშესაფარი.  
 და ვიბრძოლებთ, მომხდური ვიდრე არ დაინთქმება,  
 ერთგულება მამულის ჩვენი ძალა იქნება.

მირჩა სულთანს გაშორდა, ბანაკს გასცდა თუ არა,  
 საშინელმა გუგუნმა ტყეებს გადაუარა.  
 უცებ ატყდა განგაში, ხმა დაირხა მქუხარი,  
 ფეხზე დადგა საომრად გაუვალი მუხნარი.  
 ტყეებიდან მოჰქრიან ცხენოსნები გრივალით,  
 ზოგს ჰყავს ცხენი უბელო, ზოგსაც უნაგრიანი.  
 თავშიშველნი მოჰქრიან, წინ მოუხმობთ დაფდაფი,  
 მუხარადებს აქა-იქ მზეზე გააქვთ ლაბლაპი.  
 ცოველმხრიდან მოჰქრიან, ქარს უსწრებენ ქენებით,  
 მიწას თხრიან ფლოქვებით გაფრენილი ცხენები.  
 ალაგ ბრწყინავს შუბები, ალაგ-ალაგ ფარები,  
 ცახცახებენ შეილდებზე დაქიმული ლარები.  
 უცებ ატყდა ზუზუნი, დადგა კორიანტელი,  
 ისრის წვიმამ შეცრადა დააბნელა ნათელი,  
 ისმის კენესა, ოთხივ მხრივ შეხლავს და კვეთება,  
 ვეფხვებო ბრდღვინავს სულთანი, გულზე ცეცხლი ეღება.  
 მწვანე დროშას მალლა სწევს, ბრაზით გააქვს ცახცახი,  
 უხმობს საიერიშოდ, გაფანტულებს გასძახის.



მაგრამ უკვე არ ისმენს სულთნის ძახილს არცერთი, თავის ლაბქრის დაღუბვას ხედავს ბაიაზეთი. მოჩანს ხმლები აწვდილი და თვალები შეშლილი, გორად ჰყრია ცხენები ფაშვებგამოგლეჯილი. გორად მოჩანს ფლოქვებით დაჩეჩქვილი ზურგები, მუსრგავლებულ ყვავთა გუნდს ჰგავს ლაშქარი თურქების. დაცემულთა თვალებში ლამე დგება უკუნი, ზამთრის ცივი ქარივით ისრებს გააქვთ ზუზუნი. მოჰქრის შეუჩერებლად, როგორც ზვავი ძლიერი, თვითონ მირჩა მოუძღვის რუმინელთა იერიშს. და მტრის წყობას ისე სჭრის თურქთა შუამკვეთელი, თითქო გრივალს დაეცეს გარღვეული კედელი. აგერ ზათქით დაეშვა რაში ყალყხე დამდგარი, არის შუბთა ძგერება და ცხენების დგანდგარი. ისმის რვალის ზრიალი და ფარების ჯახანი, მოდის რუმინელების რაზმი ახალ-ახალი. შედრკა თურქთა მედროშე, გარბის როგორც ლაჩარი, გაიფანტა. გაიბნა მუსულმანთა ლაშქარი. აჰა. შედრკენენ, დასტოვეს თვალუწვდენი ველები, მაგრამ წინ დუნაია, უკან—რუმინელები.

შეწყდა ბრძოლა, ისვენებს ჯარი ომგადახდილი, ნელანელა მზე ჩადის, ძლივსღა მოჩანს დახრილი. და სანამდე სულ ჩავა, აღმასივით ელვარებს, გამარჯვების ნათელი რომ დაადგას მწვერვალებს. მზეც ჩადის და ჩრდილები ეშვებიან ბინდებად, ვარსკვლავები ბნელ ცაზე რიგრიგობით ინთება. საესე მთვარე ამოდის, ნაზი, შუქისმფრქვეველი, მთა და ბარი იძინებს, ძილს ეძლევა ტყე-ველი. ყველას სძინავს ბანაკში, მთვარეს გააქვს კაშკაში, მირჩას ერთ ვაქს არ სძინავს, თვალს არ ხუჭავს ვაჟკაცი. ქალაღდს დასცქერს ღიმილით. სასტიკ ბრძოლებს იგონებს და საყვარელ სატრფოს სწერს საალერსო სტრიქონებს:

მინდა, ჩემო ლამაზო,  
შორით გაგებაასო.



ჩქარობს ჩემი კალამი,  
რომ გადმოგცეს სალამი.  
შენს მოსალოცს მოველი,  
იცი რის ვარ მთხოვნელი?  
გამოგზავნე ჩვეული  
ძღვენი გამორჩეული:  
ტყე და მწვანე მინდორი,  
შავი თვალი დიდრონი.  
აღბათ, გულში იკითხავ,  
მე შენ რას მოგიკითხავ.  
— ომგადახდილ ვაეკაცებს,  
დროშა რომ დაჰკაშკაშებთ;  
მწვანე ტყეებს, უღრანებს,  
ფრთოსნებს გულს რომ უხარებს,  
შავ წარბებს და შავ თვალებს,  
ქალს რომ ძილშიც აწვალებს.  
ომს გადავჩი უვნებლად,  
სულ კარგი მაქვს გუნება,  
დაიჯერე, რასაც გწერ,  
შორით გკოცნი ათასჯერ.

აი რა დროს შეესწრნენ ჩვენი ჭამთალმწერლები  
ჩვენ კი შევცქეროთ ჯამბაზებს, თვალს გვისველებს ცრემლები.  
გმირებს ცოცხლად ინახავს დღემდის მხოლოდ თქმულება,  
მაგრამ ნუთუ ახლებში მსგავსნი არ ეგულებათ?  
ახალ გმირებს სახალხო ჩანგი რად არ უმღერის,  
მათ, ვინც ქედზე დაადგა ხალხს მონობის უღელი.  
სად ხართ, გმირნო წარსულის, ხალხს წინ აღარ უძღვებით,  
დღეს თქვენ მხოლოდ მოდისთვის გიმოწმებენ ურცხვები.  
მათ სურთ სახე დაჰფარონ ნამუსშემოძარცული  
და ცივ პროზად აქციონ პოეზია წარსულის.  
დარჩით ისევ წარსულში, გმირნო, წმინდა აჩრდილად,  
თქვენს ადათზე, თქვენს წესზე თაობები აღზრდილან,  
ბასარაბთა დიდთა და მუშაბატინთა თაობავ,  
ჩვენს ხალხს თქვენ უანდერძეთ გარჯაც, გამბედაობაც.




გუთნით მიწას რომ ხნავდით, ხელში გეპყრათ ლახვარი, მთიდან ზღვამდის დადევით რუმინეთის საზღვარი.

.....

განა ეს დრო არ არის დიდი თავის დიდებით,  
 განა ჩვენშიც არ არის უცხო მარგალიტები?  
 ჩვენც ხომ სიბარისში ვართ, თაღლითების ტაძართან,  
 გენიოსი ცოტა გვყავს დუქანთა და ბაზართა?  
 ჩვენს რიტორთაც ხომა აქვთ ენა, როგორც ლახვარი,  
 მათ ხომ გმირად აცხადებს ბრბოს ტაში და ხარხარი.  
 ან საქვეყნო საქმეში ცოტა ჯამბაზებია?  
 ხალხის თვალის ამხვევნი როდის დაფასდებიან?  
 თავის ფიქრი ნამდვილი მსმენელს რომ დაუფიცოს,  
 ლიბერალი მიტინგზე თავს აჩვენებს უბიწოდ.  
 ლუღხანაში რომ შევა, ნიღაბს წამსვე იცილებს,  
 სიკეთეზეც, მამულზეც გულიანად იცინებს.  
 აი კიდევ მახინჯი, უსულგულო ცხოველი,  
 მისგან მოდის ჭორი და საზიზღრობა ყოველი.  
 როგორც ვინმეს შეხედება, სისაძაგლე! მოჰყვება,  
 წარბებგადმოხურული და დაქლაჟალოყება.

პირზე აკრავს სიავე, თუმც ბოროტი სწადიათ,  
 მათი არარაობა ყველასათვის ცხადია.  
 დასდევს ყალთაბანდების მოსყიდული არმია,  
 მის ბაყაყურ მზერაში სიავე და შხამია.  
 გადასახადს ის აწერს, კანონებშიც ეჩრება,  
 ქვეყნის მართვას მათ ვანდობთ, ხშირად ვგზავნით ელჩებად,  
 საგიჟეთის ღირსია ბევრი, მათებრ ვერაგი,  
 უნდა ეცვათ შეშლილის გრძელი, თეთრი პერანგი.  
 ჩაჩი უნდა ეხუროს, უნდა ერქვას სულელი,  
 მაგრამ ღღემდის სახელი შერჩათ ხალხზე მჭრუნველის  
 სხედან, როგორც ამბონზე, მელის სათნო იერით,  
 შეხლა აქვთ და კამათი, ტაშის ცემა ძლიერი.  
 პატრიოტი ის არი, სიტყვა რომ არ ეღვევა,  
 თავიანთ თავს ნათლავენ ნამდვილ რომაელებად.  
 თავი მოაქვთ მასხარებს ტრაიანეს შვილებად...



ამ გლახებმა თვით შესძლეს ხალხის დამორჩილება, რაც დასავლეთს ცუდი აქვს, ბინაური და გაყვლა მათი სულის და ხორცის გახდა ნაწილი. ფანარელი მუხთალიც, ხალხის ტყავის გამხდელიც, ყველა ჩვენში შეგროვდა პატრიოტის სახელით. ყველა ყბედი, თავხედი, გამდიდრების მნატვრელი, გახდა ჩვენი ხალხის და ქვეყნის ბედის მმართველი. თქვენ ხართ მემკვიდრეები რომაელთა დიდების? აბა რა კაცები ხართ? ცრუები და ფლიდები? ხალხის ჭირი გამხდარა თქვენი ავი ენები, თვით მამულსაც ჩირქსა სცხებთ წარამარა ხსენებით. ძველი მაინც დაზოგეთ, ბევრი ჭირის ნახველი, ჩვენი ქვეყნის წარსულის დიდება და სახელი. თქვენ პარიზში ყოფნიდან სხვა რა გემახსოვრებათ, — უსაქმობა, ორგია და გარყვნილი ცხოვრება. ფულს ბანქოში ფლანგავდით, ბუნაგებში გეძინათ, დასავლეთმა რა მოგცათ, რა სიკეთე შეგძინათ? დაგვიბრუნდით, სწავლა და ცოდნა მოგყვით ბლომად, თვალს ნონოკლი გიმშვერებთ, ტუჩს წითელი პომადა. სხვა რა ცოდნა გამოგყვით? — რალაც ვალსის მოტივი, ნაადრევად დაპერდით მოტეხილი ტოტივით, და დასავლეთს იგონებთ კურტიზანკის ტუფლებით... ძველი რომის მემკვიდრედ თავს თვლით რომელ უკლებით? უკვე თქვენი სიცრუე ჩვენთვის გახდა ცნობილი, აღარ გვჯერა ზღაპრების, თქვენი წილადობილის. თქვენ ლამაზი სიტყვები მხოლოდ მისთვის გჭირდებათ, რომ ადვილად იშოვოთ სიმდიდრე და დიდება. დღეს, ფარდა რომ ახადეს თქვენს საქმეებს უხილავს სხვას აბრალეობთ თქვენს ცოდვებს, ხელეხს იბანთ გულგრილად. ისე შავად გამოჩნდით, შეგოწმუნდება მნახველი. შეარცხვინეთ ხალხი და ჩვენი ქვეყნის სახელი. თქვენს ჭუჭყს დიდხანს ფაოავდა სიტყვა ფერად-ფერად, დასცინოდით ჩვენს ენას, ადათს ფეხქვეშ თელავდით. ნიჭს აბუჩად იგდებდით, ნამუსს არ იკარებდით,






და ერთადერთ ღვთაებად ოქროს აღიარებლით.  
ნუ აღშფოთებთ წინაპრებს მატიანის მტვერიდან,  
მათი მხერა გმირული თქვენს შეხედვას ვერ იტანს.  
აღსდექ, გმირო ცეპეშო,  
დღეს რომ არვინ ისჯება,  
მკაცრად გაჰყავ ისინი — მკვლელებად და გიჟებად,  
და ციხეც და საგიჟეც, ვიდრე ყვირილს მორთავენ,  
დასწვი, სულმაღლად დაბუგე, ხანძარს მიეც ორთავე!



## როგორი არის ცხოვრება და როგორი უნდა იყოს იგი

ლოყებწითელი, ღიბიანი, უმანკო მწერიო,  
ხალხის წინაშე როცა დგება ქადაგად ბერი,  
და ამბობს: არ ღიოს კარგ ცხოვრებას კაცნი ნატრობდნენ,  
რადგან განცხრომას სინანული მოსდევს მარტოდენ.  
ხალხის ცხოვრების მან რა იცის წესა და რიგი,  
როგორი არის. ან როგორი სჯობს იყოს იგი.  
ღამეა. ბნელ გზას მოვარის მკრთალი შუქი მინათებს,  
ვარსკვლავებს შუქი მოემატათ. ზეცის ბინადრებს.  
ქუჩას ორიგ მხრივ მისდევს რიგი ძველი სახლკარის,  
ისმის ტირილიც, შეძახილიც, ისმის ხარხარიც.  
შავბნელ ფანჯრებში მინაც არ ჩანს ჩაუმტვრეველი,  
ღია კართავან ხმები ისმის გაურკვეველი.  
მცირე ოთახში, სადაც მეფობს სიჩუმე მწუხრის  
გოგონა ზის და უხალისოდ ნემსში ძაფს უყრის.  
გამხდარ სახეზე ჩრდილად დაჰკრავს ფერი სნეულის,  
თვალის, ლოყებიც ჩასცვივნია ფერმილეული.  
მარჯვე თითებში ნემსი ელავს, და დღელამ ჩასცქერს  
სხვის მოსახმარად მოსაქარგავ ქსოვილის ნაჭერს.  
მღვრიე თვალეებში აღარა ჰკრთის ცრემლის ნასახი,  
და გაღურჯებულ ტუჩებს ოდნავ გააქვთ ცახცახი.  
რად დაიბადა, რისთვის გაჩნდა ქვეყნად საბრალო!  
ფოთოლს ჰგავს ზღვაში, ლამის ბნელმა ტალღამ დამალოს.  
იგი ლანდივით მარტო დადის სახეყვითელი,  
არავინა ჰყავს ახლობელი და გამკითხველი.



სარკმლიდან მოჩანს, თუმცა ფარდა ჰფარავს ძველ სარკმელს,  
 შუალამემდე როგორ უზის თავის ხელსაქმეს.  
 როგორ დღედაღამ შრომობს მისი პატარა ხელი,  
 რომ მოიპოვოს პურის მცირე ნატეხი ხმელი.  
 და რომ საბრალომ დაასვენოს ერთ წამს მარჯვენა,  
 სენი, სიმშილი აწყევლინებს ბედს და გაჩენას.  
 აგერ, ვაჭარი დახლზე ძვირფას ქსოვილებს აწყობს,  
 ამდენი შრომის, ღამის თევის, წვალების ნაყოფს.  
 ვაჭრის თითებზე ბრილიანტი ბრწყინავს ვეება,  
 მკერავ გოგონას იგი უზის ტანჯვის დღეებად.  
 და რაც მკერავმა ჰკერა ცრემლით და სიმძიმით,  
 მას ახლა ჰყიდის გამყიდველი პირზე ღიმილით.  
 ამ რბილ ქსოვილში ჩაქსოვილა სუსტი ხელებით,  
 თვალის სინათლეც, გატეხილი ღამეც ხველებით.  
 იგი თეთრია, როგორც ცაში თოვლის ფიფქები...  
 შენ ცრემლი გახრჩობს, შენს მწარე ბედს რომ უფიქრდები.  
 სარკეში ჩასცქერ შენს უბედურ სახეს ნაწამებს,  
 დაღარულ ლოყებს, უძილობით დაღლილ წამწამებს.  
 უცქერ გათელილს, უთვისტომოს, საწყალ არსებას,  
 სიკვდილის გარდა ამ ქვეყნად, რომ სხვა გზა არ რჩება.  
 მას არვინ შერჩა ნათესავი და საკუთარი,  
 ჰყავს ერთადერთი მეგობარი მხოლოდ ფუტკარი.  
 როგორც ფრთებს გაშლის გასაფრენად სახლების მიღმა,  
 შორიდან იცნობს მეგობარი ერთგული მის ხმას  
 დობილს დობილი სარკმელს უღებს წამსვე მღუმარი,  
 დე მის ოთახში, ყვავილებთან დარჩეს სტუმარი.  
 ამ ფრთოსან მაშვრალს თავზე მეტად უყვარს დობილი,  
 მთელ დღეს რომ შრომობს, ფუტკარივით კეთილშობილი.  
 როგორც გოგონას სევდით თვალი დაებინდება,  
 ფუტკარი წყნარად, ზედ ტუჩებზე დააფრინდება.  
 და ეუბნება: შენს ბაგეზე ეშხით ვყუჩდები,  
 რადგან ლამაზი ყვავილია შენი ტუჩები.  
 რადგან შენ თვითონ ყვავილი ხარ ჯერ გაუშლელი,  
 მიზიდავს შენი სილამაზე, შენი სურნელი.  
 კვდება გოგონა, შრომისაგან მკლავმოუღლეელი,  
 ვ. მიხეილ ემინესკუ



მხოლოდ სიკვდილმა დაუკრიფა საწყალს გულ-ხელი  
კუბოში მდებარს მკრთალი სანთლის ფერი ერევა,  
და მკვდარ სახეზეც არ შორდება მშვენიერება.  
გათავდა ტანჯვა, მას ქვეყნისგან არა უნდა რა,  
წევს ყვაველებში და მის სხეულს ფარაკს სუდარა.  
ღია სარკმელში გაზაფხულის წყნარად ჰქრის ქარი,  
მაგრამ ფუტკარი მინდვრისაკენ აღარ იჩქარის.  
გარს უვლის ცხედარს, გლოვობს, გული დარდით ევსება,  
მდუმარე ტუჩებს დასტრიალებს, ეალერსება.  
სურს სამუდამოდ მასთან იყოს, დარჩეს მის ახლოს,  
სადაც მის დობილს დამარხავენ, იქ დაიმარხოს.  
ლოყებწითელი, ღიპიანი, უმანკო მზერით,  
ხალხის წინაშე როცა დგება ქადაგად ბერი.  
და ამბობს: არ ღირს კარგ ცხოვრებას კაცნი ნატრობდნენ,  
რადგან განცხრომას სინანული მოსდევს მარტოდენ,  
ხალხის ცხოვრების მან არ იცის წესი და რიგი,  
როგორი არის, ან როგორი სჯობს იყოს იგი.

## პარსკვლავის უშუქი

ზაფხულის ღამით გასაოცარი  
ვარსკვლავი მოჩანს ცაზე პაწია,  
მისმა ნათელმა, ისე შორს არი,  
დედამიწამდე ძლივს მოაღწია.

ის იქნებ უკვე ჩამქრალიც არი,  
თუმც მოკაშკაშე მოჩანს შორიდან,  
სხივი კი მისი, როგორც ისარი,  
ჩვენამდის მხოლოდ ახლა მოვიდა.

მისი აჩრდილი მარადისს ერთვის,  
ჩვენთვის უჩინრად თუმც გზა გალია,  
ცოცხალი იყო არ ჩანდა ჩვენთვის,  
მოკვდა და ვხედავთ, თუმც გამქრალია.

და ჩვენც ცოდვილი მიწის ბინადრებს  
როცა გზას მივსდევთ უკვე გათელილს  
სულს შუქით კიდევ დიდხანს გვინათებს  
უკვე გამქრალი ტრფობის ნათელი.



## იმიტომ არხევს ალვისხე სარკმელს

იმიტომ არხევს ჩემს სახლთან მდგარი  
ალვისხე სარკმლის მინას ტოტებით,  
რომ ვიგრძნო შენი ნაბიჯი წყნარი,  
როცა მალულად მიახლოვდები.

ღანდები წვანან ტბაში ბწკარებად  
და მათი ცქერა სულ მიტომ მინდა,  
რომ შეეფურიგდე ჩემს მწუხარებას,  
სევდას, ტბასავით ღრმასა და წმინდას.

ცას ეფარება ღრუბელი შავი  
ვარსკვლავთა შუქის მიმომთანტველი.  
რომ მომაგონოს კვლავ შენი თავი,  
იმიტომ ჩნდება ცაზე ნათელი.



## არ ჩანხარ შენა

ზედავ? გაფრინდა უკვე მერცხალი,  
ზეებს ფოთლები სცივია ფერმკრთალი  
დაიწყო თოვლი, ფიფქების ცვენა —  
შენ კი არ ჩანხარ, არ ჩანხარ შენა.

მოდო, მსურს კიდევ, კიდევ ვუმზირო  
შენს ლამაზ თვალებს, ღრმას და უძიროს.  
მოდო, თვალები შენს გზაზე მრჩება,  
მიმიკარ მკერდზე, რომ ვპოვო შვება.

გახსოვს ზაფხული? მწვანეზე ორი  
ვისხედით მარტო ბალახებს შორის.  
ჩაგჩურჩულებდი ერთ სათქმელს წყნარად:  
„მიყვარხარ მარად... მიყვარხარ მარად...“

ამ ქვეყნად ბევრი მინახავს ქალი,  
თვალი აქვთ ცეცხლის, ტუჩები — ლალის.  
მათი მშვენება მიტაცებს განა?  
შენ არა გგვანან, შენ არა გგვანან.

სულ სხვა გვარია სიტუროფე შენი,  
შენს სახეს სულ სხვა ნათელი მშვენის.

მინათებ, სულში შუქის მთოველო,  
ჩემო ვარსკვლავო გაუქრობელო.

ცივა და უკვე ამაოდ გელი,  
ქარში ირევა ფოთლები ხმელი,  
დაიწყო თოვა, ფიფქების ცვენა,—  
შენ კი არ ჩანხარ, არ ჩანხარ შენა.



## მწვერვალებზე

მწვერვალებს მთვარის ანათებს შუქი,  
შრიალა ტყეებს სიბნელე ჰფარავს,  
სადღაც, შორიდან, გაფანტულ ფარას  
მწყემსი თავისკენ მოუხმობს ბუკით.

ეს ხმა ნაღვლით და სევდით ბურვილი,  
თანდათან წყდება, ყრუვდება თითქოს,  
და ჩემს ცივ სულში ჩუმად ღვრის სითბოს  
სავსეს სიკვდილის ტკბილი სურვილით.

აღარ აქვს ამ თბილ ნაღველს ნაპირი,  
ობოლ სულს ქვეყნად რა უხაროდეს!  
ჩემს გულს რომ უხმობს, ნუთუ აროდეს  
არ დაიძახებს იგი საყვირი?!

## მარტოობა

კვლავ მაგიდასთან ვზივარ მწუხარე,  
სარკმელებს მძიმე აბნელებს ფარდა,  
გაბრწყინებულა ცეცხლით ბუხარი  
და არვინ არი ირგვლივ ჩემს გარდა.

მარტოდენ ცეცხლის გაისმის ჩქამი  
და მოგონება სულს გაანათებს,  
თითქო სანთლები სულ ერთი წამით  
შუქს ჰფენდეს უკვე დაცლილ პალატებს.

თვალს ვავლებ წარსულს და გული მწყდება,  
ბუხარში ცეცხლი გაქრა და გვიან  
მოგონებების წყება და წყება  
ერთი მეორეს ნელნელა ცვლიან.

ჭერში ობობა სასახლეს აგებს,  
დაფათურობენ წყნარად თავგები  
და ხრავენ წიგნებს, გაფანტულ წიგნებს,  
რადგან ვერ ნახეს სხვა რამ საკვები.

ო, რამდენჯერ ვთქვი, არცერთი ბჭკარის  
ლექსის დაწერა არ მომინდება,  
რამდენჯერ მსურდა ჩემივე ქნარის  
უქმად კედელზე ჩამოკიდება.

შაგრამ ამ თავგთა ფეხის ხმა მსდევდა,  
ვერ გავეჭეცი მათ ხმაურს ვერსად,  
და კვლავ იპყრობდა გულს ძველი სევდა,  
სევდა—მრავალჯერ ქცეული ლექსად.

ხანდახან გვიან, როცა ტიალი  
ღამეა გარეთ, ბნელი და წყნარი,  
უცებ შემაკრობს კარის ჭრიალი,  
უეცრად თითქო იღება კარი.

ოთახში უცებ დგება ნათელი,  
თითქო უქრობი შუქი ინთება,  
ჩემი ცხოვრების ჩარჩო შავბნელი  
კვლავ სატრფოს სახის შუქით ბრწყინდება.

ეს წამი დიდხანს გაგრძელდეს ნეტავ,  
ერთად რომ ძგერენ ჩვენი გულები,  
სატრფოს ჩემს მკერდზე მოკრულს რომ ვხედავ  
და ტკბილად, ტკბილად ვეჩურობი.

## ისევ ის ჭუჩა

კვლავ შენი ქუჩის ნაცნობი მხარე.  
კვლავ შენი სახლი ამ ქუჩის ბოლოს,  
შენს სარკმელს ისევ ჩაჰყურებს მთვარე,  
შენ აღარ ჩანხარ სარკმელთან მხოლოდ-

კვლავინდებურად ჰყვავის კიდევაც  
სახლთან ყვავილი წითელ-ყვითელი,  
მაგრამ დღევანდელ დღედ არ იქცევა  
უკვე განვლილი დღე გუშინდელი.

შენ შეიცვალე, ის არ ხარ ისევ,  
გამქრალა შენი მზერა გულწრფელი,  
მხოლოდ მე ახლაც იმ ძველ გზას მივსდევ,  
მხოლოდ მე დავრჩი ისევ უცვლელი.

რა სიხარული მოგქონდა, ოდეს  
გეგვებოდი ტყის პირას მდგარი  
ისე მსუბუქად, თითქოს ფრთა გსხმოდეს,  
მოქროდი ჩემსკენ ქარივით ჩქარი.

მკერდს მომეკროდი და თვალი წყვილი  
შემომცქეროდა თვალეში ლხენით,  
და საუბრობდნენ საუბრით ტკბილით  
სიტყვის უთქმელად თვალეში ჩვენი.

ასე ვუცქერდით ერთმანეთს დიდხანს,  
ბედნიერებით განაუუჩები,  
და თვალთნათქვამ ათასგვარ კითხვას  
კოცნით აძლევდნენ პასუხს ტუჩები.

მჯეროდა, ჩვენთვის ერთი მზე ენთო,  
მეგონა სუნთქვაც გვექონდა ერთობით,  
თურმე ქალს ისე არ უნდა ენდო,  
ვით საკუთარ ჩრდილს არ დაეყრდნობი.

მე კვლავ იმ სახლში დაგეძებ ფიქრით,  
სარკმელთან ფარდას კვლავ არხევს ქარი,  
მაგრამ, ვაი, რომ იმ ფარდის იქით  
შენ აღარა ხარ სარკმელთან მდგარი.



## შორსა ვარ შენგან

შორსა ვარ შენგან,  
 ცეცხლთან ვზივარ, თითქო დაებერდი,  
 ფიქრში თვალს ვავლებ განვლილ შარას,  
 ბნელს და შავბედითს.  
 მგონია, ყელში სიბერე მწვდა,  
 როგორც აფთარი,  
 თითქო შენ მოკვდი,  
 მეც გავთეთრდი, როგორც ზამთარი.  
 მოგონებები აღადგენენ  
 თვითეულ წვრილმანს,  
 თითქო წვეთ-წვეთად ეცემოდეს  
 ჩემს სულში წვიმა.  
 სარკმელზე ქარი  
 აკაკუნებს მიუსათარი  
 და გონებაში კვლავ ცოცხლდება  
 უცხო ზღაპარი.  
 აი, ჩემს თვალწინ  
 დგახარ ისევ და მოკრძალებით  
 მიცქერ მწუხარე,  
 ტრემლიანი ფართო თვალებით.  
 გსურს მითხრა რაღაც,  
 მომეხვევი, წამსვე ვმუნჯდები,  
 და მხოლოდ ოხკრას  
 გამოსცემენ შენი ტუჩები.



გიკრავ მკერდში და  
ვგრძნობ გულელები როგორ შფოთავენ,  
ტკბილი ამბორი  
ერთ არსებად გვაქცევს ორთავეს.  
კმარა! აღარ მსურს გახსენება  
ბედნიერ წამთა,  
მისი, რაც მოკვდა,  
რაც ბავშვივით გულწრფელად მწამდა.  
მკვდარი ხარ ჩემთვის,  
რწმენა გაქრა, აღარსად არი,  
უშენოდ, მარტო გავთეთრდები,  
როგორც ზამთარი.



## როცა უნ მაგონდები

როცა უნ მაგონდები,  
ოკეანე ყინულის  
თვალწინ დგება ყინვების  
ჯაჭვით შემორკინული.  
ცაზე ერთი ვარსკვლავიც  
არ ანათებს კაშკაშით,  
მხოლოდ მთვარე მიმქრალი  
ბეუტავს ღრუბლის ალყაში.

და ყინულის ნამსხვრევებს  
მისდევს გასაკვირველი,  
სუსტი ფრთების ფარფატით  
დაქანცული ფრინველი.  
მისი ცალი ფრინველი,  
მისთვის დაუფიწყარი,  
ფრინველების გუნდს გაჰყვა  
და შორს, სადღაც წინ არი.

ძალმიხდილი ფრინველი  
წამებით და წვალებით,  
განვლილ შარას მოხედავს  
სევდიანი თვალებით.  
კვდება და თვალს განვლილ გზას  
უსიციოცხლოდ აყოლებს,  
არც რაიმე გულსა სწყვეტს,  
არც რაიმე აღონებს.





ჩვენც ასე ვართ, ცალცალად  
უკვე თვალში ბინდდება  
და მანძილი ჩვენს შორის  
ყოველ წამში დიდდება.  
და რაც უფრო მშორდები  
და რაც უფრო მცილდები,  
ახლოვდება სიკვდილი,  
ყინულივით ვცივდები.



## ტყეო, რად გაგაქვს ზანზარი

არც წვიმა არი, არც ქარი,  
ტყეო, რად გაგაქვს ზანზარი,  
მიწამდე რად იზნიქები?  
—მე მშვიდად როგორ ვიქნები,—  
ჩემი დრო, ჩემი დიდება  
მიდის, ფოთლები ყვითლდება.  
დღემ იკლო, ღამემ იმატა,  
დრო დგება ქართა, წვიმათა.  
მტოვებენ ჩემი მგოსნები,  
ქარით დამფრთხალი ფრთოსნები.

ზაფხული ძლიერ შორს არი,  
სუსხი კარს არი მომდგარი.  
ვით არ გამქონდეს ზანზარი,  
მიახლოვდება ზამთარი!  
მეც ყინვით მოვივერცხლები,  
უკვე მიფრენენ მერცხლები.  
წავლენ, მტოვებენ გუნდებად,  
წავა და არ დაბრუნდება  
ჩემი სიცოცხლის მშვენებაც...  
და ვფიქრობ, რა მეშველება!



თითქოს ცას ეკრას ბინდები,  
გუნდი გუნდს მისდევს ჩიტების,  
შორით გავცქერი, ოცნებით,  
მზეს აბნელებენ ფრთოსნები.  
ფრთას-ფრთას ურტყამენ ჩქარ-ჩქარა,  
მარტო მტოვებენ აშკარად.  
შემოდარცული ტოტებით  
ვრჩები ობლად და ვლონდები.  
და ცარიელი სრულუბით  
ჩემს სევდას ვეჩურჩულები.

## ლ ა მ ე

ღამეა, ცეცხლის აღს შეეყურებ ბუხართან მჯდარი  
და ვიდრე თვალს არ მოერევა თვლელმა და ბინდი,  
გუცქერ ნაკვერცხლებს, კერაზე რომ ლულუნებს მშვიდი,  
ქრება სანთელი... ძილი მოდის ჩუმი და წყნარი.

ღაღუჭავ თვალს და შენ ღიმილით მიახლოვდები,  
თოვლივით თეთრი, ზაფხულის დღის მსგავსად ნათელი,  
ჩემს მუხლზე ჯდები საოცნებო და სანატრელი  
და შენნი მკლავნი მეხვევიან, როგორც ტოტები.

ყელს მომეჭდობი, მკერდს მომაყრდნობ თავს სასურველი,  
თვალში ჩამყურებ სიყვარულით, ოდნავ შემკრთალი,  
შენ გაგაოცებს ჩემი სახე, ასე ფერმკრთალი,  
მე გამაბრუებს შენთა თეთრთა მკლავთა სურნელი.

და მერე, თითქო გამოფხიზლდი ძილიდან უცებ,  
შუბლიდან ქოჩორს გადამიყრი ნაზი თითებით,  
მძინარედ ჩამთვლი, სურვილით რომ გავირინდები,  
და ჩემს ფართო შუბლს დააკონებ მხურვალე ტუჩებს.

ო, მომეფერე, ვიდრე არ აქვს ჩემს შუბლს ღარები,  
ვიდრე ნორჩი ხარ, ვით ახალი ვარდის ფურცელი,  
ვიდრე ნამივით ბრწყინვალე ხარ და ფერუცვლელი  
და ჩემი სახეც არ დაუხნავს წლებს მწუხარებით.

## ვენეცია

აწ აღარ ცოცხლობს ვენეცია ამპარტავანი,  
არც კარნავალი, არც სიმღერა ისმის გულწრფელი,  
მხოლოდ მარმარის პორტალებზე შუქი უცვლელი  
კრთის, როცა მთვარით განათდება ზეცის თავანი.

ქვითინებს ზვირთი, თითქო არწევს არხის აკვანი,  
აქ მარტო ზღვაა უკვდავი და მარად უხრწნელი,  
ქაფი შრიალით იკეცება, როგორც ფურცელი,  
რომ ვენეციას მკვდრეთით აღმდგარს კვლავ სცეს თავანი.

საფლავებივით აქ კედლები სდუმან ქვისანი,  
მხოლოდ სენ მარკი, მსგავსი ძველთა დიდებულ მოგვთა,  
დგას გუშაგივით, რომ ჟამთა სვლას მისცეს ნიშანი—

რეკავს თორმეტჯერ, თითქო მძლავრი მეხი მეხს მოხვდა  
და ტალღის ქვითინს უბასუხებს, როგორც მისანი:  
—ვაგლახ, ის აღარ გაცოცხლდება, ვინც ერთხელ მოკვდა!

\* \* \*

გავიდა ხანი, კიდევ გავა მრავალი წელი,  
მაგრამ მე იმ დღეს დავიწყებას ვერ მივცემ, ვერა,  
როცა პირველად ჩემი თვალი შეხვდა შენს მზერას  
და ჩემმა ხელმა იგრძნო შენი პატარა ხელი.

ო, დამიბრუნდი! გაცოცხლებას კვლავ შენგან ველი,  
როგორ მომწყურდა შენი ფართო თვალების ცქერა,  
მე მათი შუქი, თუ გინდ მკვდრეთით აღმადგენს, მჯერა,  
მოდი, ჩემს მკვდარ ჩანგს კვლავ მოსწყვიტე სიძღვრა წრფელი.

ჩემს გულს სიმშვიდით ავსებს, კარგო, ყოფნა შენს გვერდით,  
ოდეს გიხილავ, შენი ნახვის ოხვრით მნატვრელი,  
თითქო ღამეში შემოსულა მთვარის ნათელი —

სულს გამინათებს შენი ნაზი მოხედვაც ერთი,  
თვალს წანსვე სტოვებს ბინდი, სევდის გამომხატველი  
და შენს ღიმილზე ძგერას უფრო უმატებს მკერდი.

## ტ ბ ა

ლურჯია ტყის ტბა, ცა გეგონება,  
სიო არ არხევს ზვირთთა ქარაუნებს,  
წრეებს ცახცახით ხაზავს რგოლებად  
და ჩემს პატარა ნავს აქანავენს.

და მე მივცურავ, მივსდევ ოცნებას,  
მწამს, ეს ოცნება წამით ახდება—  
ლაქაშებს შორის ის გამოჩნდება  
და ჩემთან ერთად ნავში ჩახტება.

წელს მომეხვევა სურვილით მკლავი,  
ტკბილი ალერსით რომ განვისვენოთ,  
რომ დამავიწყდეს საჭეც და ნავიც  
და ნიჩბის მოსმაც არ გავიხსენო,

რომ მივცურავდეთ და შუქი მთვარის  
ციცინათელად კრთოდეს მის თმაში,  
ლაქაშებს სიო არხევდეს წყნარი  
და გვაცილებდეს ტალღების ტაში.

მაგრამ მე ისევ მარტოდ მარტო ვარ,  
ოცნება ქრება, როგორც ნამქერი;  
ამაოდ ველი, იგი არ მოვა,  
და მოწყენილი ლურჯ ტბას გავცქერო.

\* \* \*

დრო გარბის, სიკვდილს არ ეშველება,  
სულ ახლო ახლო ზომავს სიბერე ნახტომს...  
მე ისევ მხიბლავს უცხო ნშვენება,  
არ ვიცი რით და არ ვაცი რატომ.

შორით მწვავს მისი თვალები ფართო,  
მის ნაფეხურებს კვალდაკვალ მივსდევ,  
იგი სიტურფით არ მხიბლავს მარტო,  
მაგრამ არ ვიცი, რით მხიბლავს კიდევ.

სიცოცხლეს ავსებს თავის ქალობით,  
იგი დღედაღამ ჩემი ფიქრია,  
და თუმც მუძახის ტკბილი გალობით,  
რატომ მუძახის ვერ გამიგია.

გულს სევდა მაწევს, როგორც ყინული,  
გონდაკარგული დავდივარ მარტო,  
და ისევ ისე ვარ მოხიბლული,  
არ ვიცი რით და არ ვიცი რატომ.



## სალამო ბორაკზე

მწუხრისას მწყემსის  
ბუკი უხმობს გაფანტულ ფარას,  
გროვდება ცხვარი,  
თითქო მინდორს ღრუბელი ჰფარავს.  
ქვითინით გარბის  
ნაკადული დაუდგრომელი  
და მე შენ ამ დროს  
აკაციის ჩრდილში მომელი.  
ამოდის მთვარე,  
ვარსკვლავთ შორის დაისადგურებს,  
შენ მოწმენდილ ცას  
გაბრწყინებულ თვალით გაჰყურებ  
გიღელავს მკერდი,  
მოგლუშვია ფიქრებით შუბლი,  
შორს, ზეცის ნაპირს  
ქარავანი მიჰყვება ღრუბლის.  
მოჩანს სახლები,  
თითქო ქორთა გუნდი მოფრინავს,  
და სადღაც ქარი  
აჭრიალებს ჭაზე ოწინარს.  
ბოლავს ხეობა,  
ჩანან ნისლნი ცადასულები,  
მთიბლები წყნარად  
ბრუნდებიან დაქანცულები.



რეკავს სამრეკლო,  
ისმის ზართა ჩუმი გოდება,  
სულში თანდათან  
მოგიზგიზე ცეცხლი გროვდება.  
ცოტა კიდევ და  
დაჰხურავენ ფანჯრებს ბინდები,  
ცოტა კიდევ და  
შენსკენ ჩუმაღ გამოფრინდები.  
აკაციის ქვეშ რიჟრაჟამდის  
ერთად ვიქნებით,  
გეტყვი, თუ მუდამ  
როგორა ვარ შენთან ფიქრებით.  
მკერდს მომეყრდნობი  
ნეტარებით გავირინდებით  
და შენს ოქროს თმებს  
მე ათასჯერ დავთვლი თითებით.  
ტუჩები ტუჩებს მოსძებნიან,  
წარბებს—წარბები,  
შენს ლამაზ თვალებს  
შარბათივით დავეწაფები.  
ხისქვეშ ხვევნაში  
შეუმჩნევლად წავლენ წუთები,  
მოგაყრდნობ ცხელ შუბლს  
და სურვილით ჩაგეხუტები,  
ცეცხლს წამკიდებენ  
გულისპირქვეშ მომწყვდეულები—  
მაგ შენი მკერდის  
პაწაწინა ბროწეულები.  
ვარსკვლავთა გუნდი  
გაიბნევა ცაზე მძივებად  
და ჩვენც დაღლილებს  
ნეტარებით ჩაგვეძინება.  
ერთხელ რომ მისწვდეს  
ერთი ლანის ამ ნეტარებას,  
თვითონ სიკვდილიც  
კაცს არასდროს დაეზარება.



## ჩემს კრიტიკოსებს

ქვეყნად ყვავილი არის მრავალი,  
ნაყოფის ცოტა არის მომტანი,  
ბევრნი იბრძვიან სიცოცხლისათვის,  
გადარჩებიან მხოლოდ ცოტანი.

ვისაც სათქმელი არაფერი აქვს,  
მას ლექსის წერა ეადვილება,  
არ უჭირს სიტყვის სიტყვაზე მობმა  
რითმასთან რითმის შეხმატკბილება.

მაგრამ, როდესაც გრძნობა ნამდვილი  
გულში სევდას და ტკივილს მოდენის,  
როცა გონება ცდილობს გაიგოს  
გულის სათქმელი მცირეოდენიც.

ვით ყველა ყვავილს სიცოცხლე უნდა,  
გულისთქმას უნდა გადიქცეს აზრად,  
შეგთხოვს ჩააცვა სამოსი სიტყვის  
და უთვალავი გულისკენ დაძრა.

შინაგან ღელვას ვინ ხედავს შენსას,  
ვინ იცის, შენი ფარული ჯავრი,  
ვის ჰპოებ, ცივი ყინულის მზერით,  
შენს კაცურ ვნებებს რომ დასდოს მსჯავრი.



და გეჩვენება თითქოს სამყარო  
გენგრევა თავს და ცეცხლად ინთები...  
სად არის სიტყვა გამომხატველი  
სიმართლისა და ჭეშმარიტების?

თქვენ კი ვერ ხვდებით, კრიტიკოსებო,  
ნუთუ არ არის თქვენთვის ნათელი,  
რომ ლექსს ისინი სწერენ ადვილად,  
ვისაც არა აქვს რამე სათქმელი.

## პაემანი

ჩემო ტყეო, ტყეო ბნელო,  
როგორა ხარ სანატრელო.  
რა დიდმა დრომ ჩაიარა,  
რაც დაგშორდი ჯავრიანად.  
შენზე ფიქრით მგლოვიარემ  
მთა და ბარი მოვიარე.

— როგორა ვარ? ისევ ისე,  
ზამთრის სუსხი ეკლებს მისევს,  
ქარი მიმტვრევს მალალ რტოებს,  
თოვლი ბილიკს აღარ სტოვებს.  
მოდის ყინვა, მოდის თქეში.  
და სიმღერა სწყდება ტყეში.  
ზაფხულზე კი მწვანით სავსე  
ვმლერი ფოთლებმობასხასე  
ჩემს წყაროზე მომავალი  
მღერის ბევრი ტურფა ქალი,  
და ქარს მიაქვს დოინები,  
სმენით რომ არ მოიღლები.

— ტყეო, ტყეო, ეს დრო მშვიდი  
ღელესავით ჩუმად მიდის.  
შენ დროთა ცვლას დინჯად ხვდები,  
შენ სულ უფრო ნორჩი ხდები.

— ჩემთვის რაა დრო და ჟამი,  
მფარავს მწვანე მოსასხამი.  
ასი ტბა და ნაკადული



ლამით ვარსკვლავჩაბატული,  
ჩემს სიღრმეში ბრწყინავს, ელავს,  
როგორც ასი ცისარტყელა.  
მძაფრი ქარი მივლის ტანში  
და ფოთლების ისმის ტაში.  
მხოლოდ კაცი იცვლის ბინას,  
ჩვენ კი ისე, როგორც წინათ, —  
ზღვა, მდინარე, ტყე და ველი —  
ვრჩებით ადგილ მოუცვლელი.  
ხეტიალი არ გვაქვს გვარად,  
სადაც გავჩნდით, იქ ვართ მარად.  
ფუძის ბეცვლას ჩვენ არ მივსდევთ,  
რაც ვიყავით, ის ვართ ისევ.

## ცისფერი ყვავილი

„ისევ კითხულობ ლაჟვარდის ფურცლებს,  
ისევ ვარსკვლავებს დაუწყე ცქერა?  
ნუთუ ველარ გრძნობ ამ გულის ძგერას,  
არ დამივიწყო მაგ ფიქრში უცებ.“

ამაოდ მისდევ შორეულს ფიქრით,  
მზეში ბროლებად დაღეწილ ჩანჩქერს,  
ასურის ველებს ამაოდ გასცქერ  
და შორი ზღვისკენ ამაოდ მიჰქრი.

პირამიდების გიზიდავს ეგებ  
სიმაღლე — ცაში ღრუბლებს რომ ერთვის,  
ის გაზდასულიც შორია შენთვის,  
ბედნიერებას ნურც მათთან ეებ“.

ეს შითხრა სატრფომ და ჩემს ხშირ თმაში  
ჩამალა ბროლის ხელი ნათალი,  
რომ ცამდე იყო იგი მართალი  
მე რა ვიცოდი ჭაბუკმა მაშინ.

გალიმებულმა ავხედე ზემოთ  
მის თვალებს, ჩემსკენ ალერსით მზირალს,  
ჩურჩულით ვუთხარ: „ნაპრალის პირას  
ჩამოვსხდეთ, ტყისკენ წავიდეთ, ჩემო!



იქ, ორნი წყნარად ვიქნებით მარტო,  
ძირს გაკვეთება ხალიჩა ხავსის,  
დაგვფარავს ზეცა მზის შუქით სავსე  
და მწვანე სუროს ფოთლები ფართო.

შენ ნეტარებით თვალებს წალულავ,  
ტკბილად მიაშობობ ზღაპრებს უამრავს,  
და მე გიყვარვარ მართლა, თუ არა,  
გვირილებს ვკითხავ შენგან მალულად.

ეშხით დამათრობს უცხო მშვენიება,  
ლალის ბაგეთა და თვალთა მწველთა  
და ჩემს ქერა თმებს შენს ბროლის ყელთან  
ჩამოვწლი ოქროს ბურბუშელებად.

მაკოცე, ნულარ გექნება რიდი,  
ტყეს ნუ გახედავ შიშით ხანდახან,  
შენც დაგიფარავს უცხო თვალთაგან  
ამ ჩემი ქულის კალთები დიდი.

და გვიან, როცა ამობრწყინდება  
მთვარე - ტყეების ნაზი დობილი,  
ავდგებით, ერთურთს გადაჭდობილი,  
თუმც ერთად ყოფნა არ მოგვწყინდება.

ჩვენ დავუყვებით სოფლისკენ ბილიკს,  
ტყე გაგვაცილებს ჩრდილების ტყორცნით,  
გზაზე ერთმანეთს დავქანცავთ კოცნით,  
დაუვიწყარი ამბორით ტკბილით.

და ორი ლანდი, ბნელსმიყუყული,  
კვლავ შეერთდება შენს კართან მალვით,  
ჩვენს ტრფობას მოწმე არ უნდა არვინ,  
ძილს არვის უშლის ჩვენი ჩურჩული“.





იდექ, ცისფერი ყვავილის მსგავსი,  
მისმენდი, კოცნა სწყუროდა ტუჩებს,  
მაგრამ გამისხლტი ლანდივით უცებ  
და მარტო დავრჩი წუხილით სავსე.

.....  
წაზველ, ყვავილო ჩემო ცისფერო,  
ტრფობამაც განვლო, გაქრა ღიმილიც,  
ცხოვრებას შერჩა საბედისწერო  
სევდა, მოწყენა და სიმძიმელი.

## ლუჩაფერი

ცხოვრობდა ერთი მეფე მორკმული,  
ქვეყნად არ ჰყავდა ტოლი,  
მტკიცედ ნაგებო, კედელმორტყმული  
ჰქონდა სასახლე ბროლის.  
იღვა კოშკები ცაში ასული,  
ვერ მისწვდებოდა თვალი,  
ხელმწიფეს ჰყავდა ტურფა ასული,  
ულამაზესი ქალი.  
ყოველდამ, როცა ბინდი დგებოდა  
წყვდიადი კუბრის ფერი,  
ასულს სასახლის თაღთან ხედებოდა  
ვარსკვლავი ლუჩაფერი.  
ამოდიოდა ზღვიდან კაშკაშით,  
ცაზე იწყებდა კრთომას,  
ყალყზე შემართულ ზვირთთა ალყაში  
გზას უნათებდა ხომალდთ.  
არა უბრალო წამი გართობის,  
ორივეს სწვავდა ალი,  
ქალს შეუყვარდა შორი მნათობი,—  
მნათობს—ხელმწიფის ქალი.  
ვარსკვლავის დარდი კლავდა ქალთა მზეს,  
სწვავდა ლამით და დღისით,  
და წრფელი ტრფობით იყო აღსავსე  
მთელი არსება მისი.



ვარსკვლავიც ცაში მისთვის ნათობდა,  
 შუქს მისთვის ჰფენდა ღამით,  
 სატრფოს დანახვას ახლო ნატრობდა,  
 სასახლის თალქვეშ წამით.  
 დასცქერდა, მალალ თალს ეხვეოდა  
 სურვილით ლუჩაფერი,  
 სატრფოს იღუმლად თან შეჰყვებოდა  
 ოთახშიც შუქთაფენით.  
 როცა ასული მარტო წვებოდა,  
 ირგვლივ არ იყო არვინ,  
 ის სატრფოს ხელზე შუქად დნებოდა,  
 თვალს უხუჭავდა კრძალვით.  
 სარკიდან უხვად უკუქცეული  
 ვარსკვლავის შუქის ჩქერით,  
 მძინარე სატრფოს თეთრი სხეულიც  
 იყო იმ შუქის ფერი.  
 მასზე დადნობის გულით მნატვრელი  
 სულ უმატებდა ბრწყინვას,  
 და ლუჩაფერის დიდი ნათელი  
 სულში წვდებოდა მძინარს.  
 და სიზმარეულ ძილში წასული  
 ქალი ეტყოდა წყნარად:  
 — ციდან მოგიხმობ მეფის ასული.  
 მოდი, მომხედე ჩქარა.  
 სხივების თოკით დაბლა დაეშვი,  
 ირგვლივ გაფანტე ბინდი,  
 სული მოცული ბნელი კაეზნით  
 შუქით აანთე დიდით.  
 იდგა მნათობი, კრთოდა, ღელავდა,  
 ჩურჩულს უსმენდა ტუჩებს,  
 უეცრად ადგილს მოწყდა ელვად და  
 ზღვაში ჩაფარდა უცებ.  
 მალლა აფარდა ზღვიდან ქარბუქი,  
 შუქს შემოერტყა ალყად



და თვალტანადი უცხო ჭაბუკი  
მაღლა ამოყვა ტალღას.

მეფის სასახლე მრავალ სართული  
გაჩვლო, ვით მცირე ქოხი,  
ზღვის ყვავილებით კობტად დაწნული  
ხელთ ეპყრა ლერწმის ჯოხი.

უცებ გადავლო ღია სარკმელი,  
ვით ღია კარის ზღრუბლი,  
ოქროს ხუჭუჭის მკრთალი ნათელით  
ჰქონდა შემკული შუბლი.

სახეს დაჰკრავდა ფერი მიხდილი,  
მთლად სანთელივით მკრთალი,  
და ენთო, როგორც ორი ჟინჯილილი  
ორი მგზნებარე თვალი.

— მიხმე, მოველ და კრძალვით მიცქერი,  
შენზე ვფიქრობდი მეცა,  
ჩემი დედაა ბნელი ზღვის ფსკერი,  
მამა—ნათელი ზეცა.

ხელახლა გაეჩნდი მღვრიე ტალღებში  
ციდან დავეშვი უცბად,  
მოველ სასახლის მაღალ თაღებში,  
რომ შენ მენახე ტურფავ.

წამომყე, ჩემთან ცაში ილხინე,  
ქვეყნად ვით უნდა გასძლო,  
მე კვლავ ვარსკვლავის ტახტზე ვიბრწყინებ,  
შენ იყავ ჩემი სასძლო.

იცოცხლებ მარად ცათა მპყრობელი,  
მარად ღრუბლებში ფრენით,  
და ზღვის ძცხოვრები არსი ყოველი  
მონა იქნება შენი.

— შენ ლამაზი ხარ, ვით ზაფხულის მზის  
ამონათება დილით.

მაგრამ, ძვირფასო, რა ვქნა, შენი გზით  
მე რომ ვერასდროს ვივლი.



შე ცოცხალი ვარ, შენ თითქმის მკვდარი,  
მხოლოდ უსულო სხივი,  
სხეულს მიყინავს აგრე ფერმკრთალი  
შენი ნათელი ცივი.

დრომ განვლო, ორი ღამე გასრულდა  
და დღე გავიდა საპი,  
კვლავ დაიბადა მეფის ასულთან  
სატრფო ვარსკვლავი ღამით.

სიზმრად ხედავდა ქალი მძინარი  
მშვენიერ ჭაბუკს ალბათ,  
მწუხარე, სახეგაუკინარი  
მიჩერებოდა ხარბად.

შესთხოვდა: ციდან დაბლა დაეშვი,  
გამომიწოდე ხელი,  
სული მოცული შენზე კაეშნით  
ღამით და დღისით გელის.

ქრება ვარსკვლავი, ალბათ, ვედრებას  
სატრფოსას ვედარ უძლებს,  
და ზეცას ცეცხლის ალი ედება,  
სადაც ის გაჰქრა უცებ.

ცაში ავარდა წამსვე ქარბუქი,  
გრიგალს გრიგალი მოსდევს,  
და მშვენიერი უცხო ჭაბუკი  
ქაოსს ცილდება ისევ.

ოქროს გვირგვინი ბნელი ღამითაც  
უნათებს თმების გიშერს,  
დგას და შავბნელი მოსასხამიდან  
მარმარის ხელებს იშვერს.

ჯავრით შუბლშეკრულ ვარსკვლავს — ლუჩაფერს  
ფერი მკვდარს უგავს მკრთალი,  
გაყინულ სახეს ნათელ შუქსა ჰფენს  
ორი ბრიალა თვალი.

— მიხმე და მოველ შენი მორჩილი,  
შენს მტკიცე პასუხს ველი,  
ჩემი მამაა მზე შუქმოსილი



და დედა ღამე ბნელი.

წამომყე, ვიდრე არ არის გვიან,  
უშენოდ როგორ გავძლო,  
მე მალალი მზის შემკვიდრე მქვია,  
შენ იყავ ჩემი სასძლო.

თავზე დაგადგამ ვარსკვლავთა გვირგვინს,  
მზე შემოგხვდება ტანით,  
შენ დააბნელებ მნათობებს ირგვლივ  
შენი მშვენიებით ცაში.

— შენ ღამაში ხარ, ვით ზატყულის მზის  
ამონათება დილით,

მაგრამ ძვირფასო, რა ვქნა, შენი გზით,  
მე რომ ვერასდროს ვივლი.

გულს კაწრავს შენი ტრფობის ბრკეალები,  
თითქმის წამერთო ძალი,

ცეცხლს მიკიდებენ შენი თვალები  
დამნაცრებელი ალით.

— შენ თვითონ იცი, ეს ტრფობა მწველი  
მე ვერ მიმჯაჭვავს მიწას,

შენ, მოკვდავს, ბოლოს სიკვდილი გელის,  
მე უკვდავება მიცავს.

— შენი ხმა მესმის უცხო ჰანგებად,

ყურს ვერ დაგიგდებ ღხენით,

მესაუბრები თუმცა გასაგებად,

მაინც არ მესმის შენი.

თუ შენც გიყვარვარ და მართლა გინდა,

ტრფობის დაგიდგა ტახტი,

შენც უკვდავება დატოვე ცის და

ჩემებრ მოკვდავი გახდი.

— მე უკვდავება მიცვარდა, ღამით

ცაზე ანთებულ მნათობს,

მაგრამ ველარ ვძლებ უშენოდ წამით

და უკვდავებას დავთმობ.

ახალ ცხოვრების კანონს ვიწაზებ,

ძველ ჯაჭვს გავწყვიტავ ძალით,



შენებრ მიმილებს შავი მიწა მეც,  
დამეხუჭება თვალი.  
ეს თქვა და როგორც ტყვიანაკრავი  
ლაქეში უცებ გაჰქრა,  
სადღა, ვარსკვლავებს მოსწყდა ვარსკვლავი,  
და ბნელს გაეკრა ლახვრად.

\* \*

ამ დროს ცბიერი ერთი მსახური,  
ერთი უბრალო ვაჟი,  
არა მახინჯი და უსახური,  
თვითონ დედოფლის პაჟი.  
ვინც მერიქიფე იყო ქეიფის  
და გამბედავი ჩანდა,  
ვისაც დედოფლის ეპყრა შლეიფი  
და უკან სდევდა ლანდად.  
ერთი უგვარო, შინაყმის სწორი,  
ღვინით ამვსები ჯამთა,  
ხელმწიფის ასულს უცქერდა შორით  
და თითქო თვალთ სკამდა.  
„რა ტურფა გახდა, რა საოცარი,  
მიზიდავს, როგორც ჯადო,  
ჰეი, კატალინ, სწორედ დროც არი,  
ბედი თუ გინდა სცადო“.  
და ხელთ ჩაბლუჯა ერთ ბნელ კუთხეში  
მისი წერწეტა წელი.

— ბიჭო, როგორ ხარ ასე უხეში,  
რა გსურს, გამიშვი ხელი!  
— შენი სურვილი, უმხურვალესი,  
თვალში ჩამიდგა ბინდად,  
მე მხოლოდ შენი ტკბილი ალერსი  
და შენი კოცნა მინდა.  
— რას ითხოვ ჩემგან, ვერ გამიგია,  
მე ჩემს ლუჩაფერს ველი,  
ჩემი ოცნება მხოლოდ იგია,



და ჩემი ტრფობა მწველი.

— შენ ჯერ ალერსის არ იცი გენო,  
რათა კოცნაში ცუდი?

ხვევენას გასწავლი ძვირფასო ჩემო,  
ოღონდ დამშვიდდი წუთით.

აი, მე ახლა ხელს მოგხვევ წელზე,  
და შენც გაწალე მკლავი,  
შენც შემომეჭდე უშიშრად ყელზე,  
მკერდზე მომაყრდენ თავი.

ფეხის წვერებზე შედექ და ასე,  
ნხარზე ნომაკარ ნხარი,  
ჩემს სახეს აშლილს და ჟინით სავსეს  
მხერა მოაბყარ წუნარი.

ნუ მიცქერ ეჭვით, ნურც გამომცდელად,  
უნთავრესს გეტყვი ახლა:  
მე რომ თავს დავხრი შენს საკოცნელად,  
შენ თავი ასწი მაღლა.

შეერთდებიან ჩემი ტუჩები,  
მიგებნიდება თვალი,  
ვნებით და ეწხით შენ დანუნჯდები,  
ნეტარებისგან მოვრალი.

რცხვენოდა ასულს; თან დაბნეული  
ვნებით ლულავდა თვალებს,  
გასხლტომა სურდა, მაგრამ სხეული  
არჩევდა ვაჟის ალერსს.

ქალი ეტყოდა: მახსოვხარ ყბედი  
ბალლი იყავი ჯერაც,  
შენ როგორ განდო მე ჩემი ბედი  
და ჩემი ბედის წერა.

მაგრამ სხვა არი ჩემი ოცნება,  
მე სხვა არავინ მიხდა  
ის არის ბნელის გასხივოსნება,  
შუქი უქრობი, წმინდა.

ტალღა თავს უხრის იმ რჩეულ ვარსკვლავს,  
ზვირთით მოაფრენს წყალი,





ჩემს წამწამს ოდნავ სხივსაც რომ გაჰკრავს,  
ცრემლით მევესება თვალი.

შორიდან მეტრფის და შუქის ფრქვევით,  
მალღდება, არ გრძნობს დალლას,  
მეძახის, მიდის სულ ზევით, ზევით,  
მე კი ვერ მივდეგ მალლა.

ცივ სხივებს მტყორცნის ციდან ცთომილი,  
და ჩემთვის ესეც კმარა,  
შორია თუმც და მიუწვდომელი,  
მაინც მას ვეტრფი მარად.

დღე ჩემთვის არი უდაბნო ბნელი,  
მკლავს უმისობის სევდა,  
მზის ჩასვლას გულის ფანცქალით ველი,  
ლამით ლუჩაფერს ვხედავ.

— შორს გადვიკარგოთ, რა დროს ეგ არი.  
იქ მომყე, არ ხარ ბალღი,

სადაც ვერ ნახავს ჩვენს კვალს მღვევარი,  
სადაც ვერ გვიცნობს ხალხი.

იქ ბედნიერად ვიცხოვრებთ ორი,  
კმაყოფილები ბედის,

დაგავიწყდება ვარსკვლავიც შორი,  
ტკბილი ალერსიც დედის.

\* \*

ჰა, ლუჩაფერი, მძლავრ ფრთებ გაშლილი.

ტოვებს ვარსკვლავთა წყებას,  
ას წელს სავალი გრძელი მანძილი

ერთ წუთში უკან რჩება.

თუმც ვარსკვლავები აკრავს, ვით ჯარი,  
მათი აღარ აქვს ფიქრი,

ვით გატყორცნილი ელვის ისარი  
მნათობებს შორის მიჰქრის.

სულმოუთქმელი წინ მიჰქრის სწრაფად,  
ნათელი აზრის მსგავსად,



შუქს ასე ღვრიდა ქაოსი, ალბათ,  
ქვეყნის გაჩენის წამსაც.

თუმცა ნაპირი გაჰქრა ყოველი,  
მოდის სინათლის ღვარი,  
აღარც რამ არის შესაცნობელი,  
აღარც დროა და ზღვარი.

დავიწყებით და სიცალიერით  
წაშლილა გზა და კვალი,  
მაგრამ ლუჩაფერს ისევ ძლიერი  
ტრფობის ედება ალი.

— ჰე მზეო, დარდი მკლავს გაუმხელი,  
ხვეწნა ისმინე შვილის,  
გთხოვ უკვდავების ამხსნა უღელი,  
სხვისთვის ესოდენ ტკბილი.  
სიკვდილ-სიცოცხლე ხომ შენს ხელთ არი,  
გვედრებ, გამკიცხო თუნდაც,  
მე უკვდავება არ მსურს ნეტარი,  
ის ჩემთვის იქცა ხუნდად.

არ მსურს მარადი შუქი მნათობის,  
ტახტი ვარსკვლავთა გვერდით,  
სანაცვლოდ მხოლოდ ტრფობით დატკბობის  
მომეც საათი ერთი.

მე ქაოსიდან ვარ გამოსული,  
ქაოსსვე შემრთე წმინდად,  
ადრე სიმშვიდით ვიყავ მოცული  
და კვლავ სიმშვიდე მინდა.

— შენ მე შეგქმენი უკვდავად თვითონ,  
დღეს სიკვდილს როგორ ცდილობ?  
სასწაულს ნუ მთხოვ უმაგალითოს,  
ლუჩაფერ, ჩემო შვილო.

გსურს მიწიერი ცხოვრების განცდა,  
თვით ხდები თავის მკვლელი?  
ხანმოკლე არის სიცოცხლე კაცთა,  
ცვლავთ სიკვდილის ცელი.



ბევრი ვერ უძლებს მათ ბნელ მხარეში  
ჩაგვრას და ბედთან ჭიდილს,  
მხოლოდ ჩვენ ვცხოვრობთ დროის გარეშე,  
არ ვცნობთ ნგრევას და სიკვდილს.  
თუმც მარადია ზეცა მაღალი,  
მასაც სახეცვლა ახლავს,  
ქრება მნათობიც, რომ სხვა ახალი  
გაბრწყინდეს უფრო მაღლა.  
სიცოცხლის აზრი — გაუქრობელი  
შუქით ბრწყინვალე მზისებრ,  
ცოცხლობს, რომ ბოლოს მოკვდეს ყოველი  
და ახლად გაჩნდეს ისევ.  
შენ უკვდავი ხარ, ცეცხლით ხარ სავსე,  
ტრიალებ ქვეყნის ირგვლივ,  
ოღონდ მთხოვე და ბრწყინვალე თავზე  
დაგადგამ სიბრძნის გვირგვინს.  
მთხოვე და შენს ხმას ჰანგი საამო  
არ მოცილდება წუთით,  
შენს სიმღერაზე დილა-სალამოს  
იტყევენ მისი ბურთი.  
იქნებ სახელი დიდი გიზიდავს,  
ძალაუფლება ფართო,  
სიცოცხლეს აღვგვი დედამიწიდან,  
რომ მიწა თვითონ მართო.  
ჯარს მოგცემ, გეუბს სამყაროს მომვლელს,  
დალაშქრავ ქვეყნის ბოლოს,  
მე ავასრულებ შენს თხოვნას ყოველს,  
სიკვდილს ვერ მოგცემ მხოლოდ.  
მოკვდავი მიწა ცის მნათობს არ ჰგავს,  
ტრიალებს, როგორც ჩარხი,  
მიწიერისთვის დაფიქრდი კარგად,  
იქნებ სიკვდილი არც ღირს.



\* \*

ჰიპერიონმა ცეცხლოვან რაშით  
 გეზი იცვალა ხელად,  
 თავის ადგილზე დაბრუნდა ცაში,  
 სადაც ბრწყინავდა ძველად.  
 მწუხრზე მზის შუქის გაჰქრა ნასახი,  
 ცამ ჩამოუშვა ჩადრი,  
 და წყნარ ღამეში ჩუმი ცახცახით  
 მთვარე ამოდის ბადრი.  
 ბილიკებს სერავს ჩრდილები ხეთა,  
 ცაცხვის ტოტებ ქვეშ გრილა  
 და ხეივნებში მიჯნურნი სხედან  
 მტრედების მსგავსად წყვილად.  
 „მიმიკარ მკერდზე, შენს გულის ძვერას  
 ყურს თუ არ ვუგდებ მიმიკიმს,  
 ვერა, ვერ მოვწყვეტ დამშეულ მზერას  
 შენი თვალების ციმციმს.  
 ასე ერთ არსად ვიქცეთ ორთავე,  
 რომ ვიგრძნო ტრფობის მაღლი,  
 აავეს ჩემი სული მშფოთვარე  
 შენი სიმშვიდის ნათლიი.  
 შენი ამბორით გული ცოცხლდება,  
 თითქო ქცეული ნაცრად,  
 შენ ხარ პირველი ჩემი ოცნებაც,  
 უკანასკნელი ნატვრაც“.  
 ლუჩაფერს ესმის ჩურჩული ნელი,  
 ქალ-ვაჟს შეასწრო თვალი:  
 ვაჟმა როგორც კი მოჰხვია ხელი,  
 მკერდზე მიეკრა ქალი.  
 მათ თავზე ცაცხვის ყვავილი სცვივა-  
 მსგავსი ურიცხვი პეპლის,  
 მხრებზე ეცემათ უთვალავ მძივად,  
 ფაფუკი, როგორც ფერფლი.  
 თავსა სწევს ქალი, ამბორის ჩქამი,  
 თითქო შეცრად აკრთობს,

ლუჩაფერს თვალი შეასწრო წამით  
და ეუბნება მნათობს:

— ლუჩაფერ, მოდი, დაბლა დაეშვი.

გამომიწოდე ხელი,

ვით ჩემი სული სავსე კაეშნით.

ტყეც გაანათე ბნელი.

ჰიპერიონმა ერთი იელვა

და ძველებურად, მაგრად,

აბობოქრებულ ზღვაზე ძლიერად

ზვირთს უცებ ზვირთი დაჰკრა.

მაგრამ კვლავ აღარ ჩავარდა ზღვაში,

ვაჟად არ იქცა სწრაფად,

უთხრა: ვინ გინდა, მე თუ ეგ ვაჟი,

ერთერთს გვატყუებ, ალბათ.

მე აღარა ვარ ზეცის დამთმობი,

გულს გული ეძებს სწორი,

მე მინდა ისევ ვიყო მნათობი,

უკვდავი, მაგრამ შორი.

## შენიშვნები

ლანდები დროის ტილოზე. — ამ ლექსის სამი ვარიანტი არსებობს. პირველი ვარიანტი, „პროლეტარის“ სახელწოდებით, შეიცავდა მხოლოდ სოციალისტი აგიტატორის სიტყვას. იგი დაწერილია 1870 წელს. 1871 წელს პარიზის კომუნის ამბების უშუალო შთაბეჭდილებით ემიგრაცულ დაწერა ლექსას მეორე ვარიანტი. უკანასკნელ ხანებამდე რუმინელი მკითხველები იცნობდნენ მხოლოდ მესამე ვარიანტს, რომელსაც „იმპერატორი და პროლეტარი“ ერქვა. სკეპტიციზმითა და პესიმიზმით გამსჭვალული სტრაქონები, რომლებშიაც გამოსკვივის უიმედობა და სიმძიმითი არსებული წყობილებაც შეცვლის შეუძლებლობის გამო, პოეტმა შემდგომ მიუმატა კონსერვატული ლიტერატურული წრის „ჟუნინიას“ („ახალგაზრდობა“) გავლენით. და კ ე ი ს ა რ ი ბ რ წ ყ ი ნ ა ვ ს ე ტ ლ შ ი... — იგულისხმება საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ III.

წერილი მეხამე. — გამოქვეყნდა 1861 წლის მაისში. ლექსში აღწერილი იტორიული ამბები განეკუთვნება ვლახეთის მეფეთს მირჩა მოხუცის (1386—1418) მმართველობის ხანას. 1384 წელს ოურქეთის სულთანი ბაიხეთი თავს დაესხა ვლახეთს. ცნობილ როვინის ბრძოლაში გაიპარჯვეს რუმინელებმა. ნიკოპოლი — ციხე-სიმაგრე დუნაიზე, რომლის კედლებთანაც 1396 წელს თურქებმა დამარცხეს ფრ. ნგთა, გერმანელთა და სხვ. გავრთიანებული მხედრობა. ბასარაბები, მუშატინები — დიდებულთა საგვარეულონი, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში მმართველობდნენ ვლახეთსა და მოლდავეაში. სიბარისი — ძველი ბერძნული ქალაქი, მდიდარ მოქალაქეთა ფუფუნებით განთქმული. ფანარი — კონსტანტინეპოლის გარეუბნი, სადაც ცხოვრობდნენ თურქთა სამსახურში მყოფი ბერძნები. ამ ბერძენთა წრიდან ნიშნავდნენ სულთანები დუნაისპირა სამთავროების მმართველებს. ვლად ცეპეში — ვლახეთის მეფე (1456—1462). ცეპეში ხედვეტი სახელია, „ძელზე გაქსმელს“ ნიშნავს. ეს სახელი იმიტომ დაარქვეს, რომ სამშობლოს მტრებს სასტიკად უსწორდებოდა.

პაემანი. — დოინები — ხალხური ლექსის, სიმღერის ფორმა.

ვენეცია. — სენ მარკი — წმ. მარკოზის ტაძარი ვენეციაში.

ლუჩათფერი. — ლუჩათფერი საღამოს ვარსკვლავს რუმინული ხალხური სახელია. ამ პოემაში გამოყენებულია ხალხური ზღაპრების მოტივები.

სარჩევი

	გვ.
მიხეილ ემინესკუ . . . . .	3
უცხოეთიდან . . . . .	5
უკანასკნელი სურვილი . . . . .	7
რამდენი ანძა . . . . .	9
მუსიკოსის სიმღერა . . . . .	10
ბინდი და პოეტი . . . . .	12
დედა . . . . .	14
ლანდები დროის ტილოზე . . . . .	15
წერილი მესამე . . . . .	22
როგორი არის ცხოვრება და როგორი უნდა იყოს იგი . . . . .	32
ვარსკვლავის შუქი . . . . .	35
იმიტომ არხვეს ალვისზე სარკმელს . . . . .	36
არ ჩანბარ შენა . . . . .	37
მწვერვალებზე . . . . .	39
მართლობა . . . . .	40
ისივ ის ქუჩა . . . . .	42
შორსა ვარ შენგან . . . . .	44
როცა შენ მაგონდები . . . . .	46
ტყეო, რად გაგაქვს ზანზარი . . . . .	48
ლამე . . . . .	50
ვენეცია . . . . .	51
* * * გავიდა ხანი . . . . .	52
ტბა . . . . .	53
* * * დრო გარბის . . . . .	54
სალამო გორაკზე . . . . .	55
ჩემს კრიტიკოსებს . . . . .	57
პაემანი . . . . .	59
ცისფერი ყვავილი . . . . .	61
ლუჩაფერი . . . . .	64
შენი შვენები . . . . .	76

რედაქტორი კ. ქილარჯიანი  
მხატვარი თ. მაცაბერიძე  
მხატვრული რედაქტორი გ. ვორდელაძე  
ტექნორედაქტორი ან. ლვინაიშვილი  
კორექტორი ლ. არეშიძე

გადაეცა წარმოებას 26/IV 1955 წ. ხეობაში  
დასაბეჭდად 3/I-56 წ. უე 00003. ანაწყობის  
ზომა 5,5×9. ქაღალდის ზომა 84×108. ნაბეჭდი  
თაბახი 4,1. სააღრ.-საგამომც. თაბახი 2,64.  
ტირაჟი 5.000. შეკვ. № 695. ფასი 3 მან.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს  
მთავარბოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის  
კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата  
Министерства культуры Грузинской ССР.  
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.





Михаил Эминеску  
Стихи  
(На грузинском языке)

Издаёт Грузинской ССР. Тбилиси, 11

33.

2.180/231



საქართველოს  
საქართველოს